

# ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 6 (305)  
ივნისი  
2022

# 25 წელი ერთად...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა  
და აუდიტორთა ფედერაცია

# ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი  
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 6 (305)

ივნისი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;  
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;  
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ  
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

# შინაარსი

ინფორმაცია ფელერაციიდან .....	3
<b>საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასა (ბაფი) და 7 უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა .....</b>	<b>5</b>
პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად რუბრიკას უძღვება გაკვირვებული	
<b>სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგება</b>	
გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის შემფასებელი – ნაწილი 1 .....	8
საბა ძახამია	
<b>საჯარო სექტორის ფინანსების მაღალი რანგის პროფესიონალები პანდემიისგან ნასწავლი გაკვეთილების გათვალისწინებას ცდილობენ .....</b>	<b>34</b>
<b>ორგანიზაციებში შიდა კონტროლის წინაშე გამონვევები დგას .....</b>	<b>36</b>
ოფიციალური მასალები .....	38
კითხვა-პასუხი .....	44
ინფორმაცია პირუბიდან .....	50

---

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი  
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97  
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“: ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

## ფასი 6 ლარი

დამკაბადონებელი: ნ. ყაველაშვილი  
კორექტურა: თ. ცქიტიშვილი



ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წლის 25 სექტემბერს მიღებული „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის“ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებებიდან გამომდინარე, გადაისინჯა პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო ლიტერატურის (წიგნების) ფასები, სერტიფიცირების გამოცდებისა და ჩათვლის გადასახადი.

## 1. სერტიფიცირების სახელმძღვანელო ლიტერატურის ფასები 2022 წლის 01 ივლისიდან

- სასერტიფიკაციო პროგრამის I დონის წიგნების (1 კომპლექტი – სახელმძღვანელო და პრაქტიკული მასალა) ღირებულება – **80 ლარი**;
- სასერტიფიკაციო პროგრამის II დონის წიგნების (1 კომპლექტი – სახელმძღვანელო და პრაქტიკული მასალა) ღირებულება – **100 ლარი**;
- სასერტიფიკაციო პროგრამის III დონის წიგნების (1 კომპლექტი – სახელმძღვანელო და პრაქტიკული მასალა) ღირებულება – **150 ლარი**.

## 2. სერტიფიცირების გამოცდებისა და ჩათვლის ღირებულება სრულ სასერტიფიკაციო პროგრამაში (13 საგამოცდო მოდული) მონაწილეებისათვის

- სასერტიფიკაციო პროგრამის I დონეზე (3 საგამოცდო მოდული) ერთ მოდულში **გამოცდის ან/და ჩათვლის** საფასური განისაზღვროს **210 ლარით**, დღგ-ს ჩათვლით. *ჩათვლის ნაწილში ცვლილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან*;
- სასერტიფიკაციო პროგრამის II დონეზე (6 საგამოცდო მოდული) თითოეული მოდულის **გამოცდის** საფასური, 2023 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდის გამოცდებისთვის, განისაზღვროს **250 ლარით**, დღგ-ს ჩათვლით;
- სასერტიფიკაციო პროგრამის III დონეზე (4 საგამოცდო მოდული) თითოეული მოდულის **გამოცდის** საფასური, განისაზღვროს **400 ლარით**, დღგ-ს ჩათვლით.





### 3. სერტიფიცირების გამოცდების ღირებულება სასერტიფიკაციო პროგრამის (5 გამოცდა) მოდულებში, 2023 წლის 01 იანვრიდან

3.1 სასერტიფიკაციო პროგრამის **ქართულენოვანი გამოცდების თითოეული მოდულის გამოცდის საფასური**, 2023 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდის გამოცდებისთვის, განისაზღვროს **460 ლარით**, დღგ-ს ჩათვლით, მათ შორის:

- სერტიფიცირების ინგლისურენოვან (ACCA) პროგრამაში მონაწილეებისათვის;
- სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირებისათვის, რომლებიც გამოცდას აბარებენ სერტიფიკატის აღიარების მიზნით.

3.2 სასერტიფიკაციო პროგრამაში 2022 წლის 1 ივლისამდე რეგისტრირებული კანდიდატებისათვის საგადასახადო დაბეგვრასა და ბიზნესსამართალში 3.1 პუნქტით გათვალისწინებული გამოცდის საფასური (460 ლარი) ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდის გამოცდებისათვის.

3.3 **საგადასახადო დაბეგვრასა და ბიზნესსამართალში ინგლისურ ენაზე ჩატარებული თითოეული მოდულის გამოცდის საფასური**, განისაზღვროს **1000 ლარით**, დღგ-ს ჩათვლით.

## საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასა (ბაფი) და 7 უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა

მიმდინარე წლის 22 ივნისს, მსოფლიო ბანკის ორგანიზებით, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში, ბაფსა და უნივერსიტეტებს შორის განათლებისა და პროფესიული სერტიფიცირების სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებისა და სასწავლო მასალების გადაცემის ღონისძიება გაიმართა.



სასტუმრო  
 თბილისი მერიოტი  
 22.06.2022



ლონისძიებაზე ბაფისა და შვიდი უნივერსიტეტის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი) წარმომადგენლებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

**ბაფისა და უნივერსიტეტებს შორის მემორანდუმზე ხელმოწერა**







**მემორანდუმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების გადაცემა**

შეხვედრაზე, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა, **ქალბატონმა ირინა გორდელაძემ** ისაუბრა სხვადასხვა მიმართულებით უნივერსიტეტების ხელშეწყობის აუცილებლობის შესახებ, რომელიც მათ მხარდაჭერას ითვალისწინებს, როგორც სასწავლო, ასევე საგამოცდო პროცესის დახვეწის მიმართულებით.

უნივერსიტეტების წარმომადგენლებს სიტყვით მიმართა ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელმა, **ბატონმა დავით სხილაძემ**, რომელმაც ისაუბრა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტებზე, მათ მნიშვნელობასა და იმ შესაძლებლობებზე, რომელიც სტუდენტებს პროფესიული სერტიფიცირების პროცესში მიეცემათ, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი საგნების აღიარებისთვის საჭირო კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ.

უნივერსიტეტებისა და პროფესიული ორგანიზაციების პროგრამების ურთიერთალიარების სფეროში თანამშრომლობის როლზე ისაუბრა ბაფის გამგეობის თავმჯდომარემ, **ქალბატონმა რუსუდან ჟორჯოლიანმა**, რომელმაც ხაზი გაუსვა ამ მიმართულებით დონორების მხარდაჭერას და აღნიშნა, რომ მათ გარეშე ვერ მოხერხდებოდა კადრების მომზადებისა და, ზოგადად, ქვეყნისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება. გამომსვლელმა, ასევე ისაუბრა მიმდინარე რეფორმაში სხვა უნივერსიტეტების, გამსაკუთრებით კი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე.

პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს მემორანდუმზე ხელმოწერილი უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს: ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებს.



უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, სასერტიფიკაციო პროგრამის მემორანდუმით გათვალისწინებული მოდულების შესაბამისი სახელმძღვანელოები გადასცათ ბაფის აღმასრულებელმა დირექტორმა, **ბატონმა ლავრენტი ჭუმბურიძემ**.

## სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

### გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის შემფასებელი - ნაწილი 1

#### შესავალი

მე ვარ საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც შეაფასებს სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის შედეგებს. ეს სტატია იმისთვისაა განკუთვნილი, რომ თქვენ, კანდიდატებს, გაგაცნოთ ჩემი მოსაზრებები გამოცდის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რათა უკეთ გაიგოთ, რას უყურებს, რას ითვალისწინებს შემფასებელი, როდესაც აფასებს სცენარზე დაფუძნებულ კითხვებს სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე.

როგორ აზროვნებს შემფასებელი – იმის ცოდნა, რომ ჩვენ შემფასებლები სპეციალურ სწავლებას (ტრენინგს) გავდივართ და გვასწავლიან იმის ძებნას, რას უნდა მივაკუთვნოთ ქულები და რას არ უნდა მივაკუთვნოთ და რის გამო – დაგეხმარებათ თქვენი შესაძლებლობების სრულად გამოვლენასა და აუცილებელი ქულების მიღებაში.

სრულად გამოიყენეთ  
თქვენი შესაძლებლობები  
და მოიპოვეთ  
აუცილებელი ქულები.

ამ სტატიაში განსახილველად გამოვიყენებთ ორი კატეგორიის კანდიდატების პასუხებს, რომლებიც შერჩეულია 2018 წლის სექტემბრის საგამოცდო მასალის „ა“ განყოფილებიდან (1-ელი კითხვის (ა) და (გ) ნაწილები და მე-2 კითხვა).

ამასთან მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი არ არის, ბუსტად გაიმეოროთ გამომცდელის მიერ მომზადებული პასუხები.

იმისათვის, რომ გაიგოთ შემფასებლის მოსაზრებები „ბ“ განყოფილების საგამოცდო კითხვებთან მიმართებით, გთხოვთ გაეცნოთ ამ სტატიის მე-2 ნაწილს.

#### 1-ელი კითხვა

საგამოცდო მასალის „ა“ ნაწილი მოიცავს სცენარზე დაფუძნებულ ორ სავალდებულო კითხვას, რომლებსაც ერთობლივად მიკუთვნებული აქვს 50 ქულა.

1-ელი კითხვა დაფუძნებული იქნება სანარმოთა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე ან ანგარიშგების გარკვეულ ამონარიდებზე. გარდა ამისა, შეიძლება მოითხოვებოდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

მაგალითად, კითხვაში შეიძლება კანდიდატებს სთხოვდნენ გამოთვლების ჩატარებას ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის ნებისმიერი ასპექტისთვის (მათ შორის ფულადი ნაკადების ანგარიშგებასთან დაკავშირებით). კანდიდატებმა უნდა განიხილონ ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ გამოთვლებს და, ამასთან, არ უნდა დაივიწყონ, რომ წმინდა რიცხობრივი პასუხებისთვის გამოყოფილი ქულების რაოდენობა შეზღუდული იქნება.



**კანდიდატებმა უნდა განიხილონ ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ გამოთვლებს.**

2018 წლის სექტემბრის გამოცდაზე 1-ელ კითხვას მიკუთვნებული ჰქონდა 30 ქულა (კითხვის შინაარსი იხილეთ სტატიის ბოლოს).

**ახლა გავეცნოთ კითხვის (ა) და (გ) მოთხოვნებს:**

**მოგეთხოვებათ:**

(ა) მოამზადოთ ახსნა-განმარტებითი ბარათი Banana-ს დირექტორებისთვის, სადაც განიხილავთ შემდეგ საკითხებს:

(i) როგორ უნდა გამოეთვალათ გუდვილი Grape-ის შეძენისას და აჩვენებთ საბუღალტრო გატარებას, რომელიც საჭიროა ფინანსური დირექტორის შეცდომის გამოსასწორებლად;

**(8 ქულა)**

(ii) წილობრივი მეთოდით აღრიცხვა რატომ იყო სწორი მიდგომა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში Strawberry-ის ასახვისთვის მისი გასხვისების თარიღამდე და აჩვენებთ Strawberry-ში ფლობილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას ბუსტად მის გასხვისებამდე;

**(4 ქულა)**

(iii) როგორ უნდა აღრიცხულიყო Strawberry-ის გასხვისების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ბარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და ასევე Strawberry-ში ფლობილი ინვესტიცია მისი ნაწილის გასხვისების შემდეგ. **(4 ქულა)**

**შენიშვნა:** ნებისმიერი გაანგარიშება შეიძლება ნაჩვენები იყოს ახსნა-განმარტებითი ბარათის მთავარ ნაწილში ან მის დანართში.

**მოთხოვნებთან დაკავშირებული შემფასებლის კომენტარები**

საერთო მოთხოვნაა განხილვა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატებს სთხოვენ (i) გუდვილის გამოთვლას, (ii) საბალანსო ღირებულებისა და (iii) გასხვისების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ბარალის გამოთვლას, კანდიდატები უნდა მოელოდნენ, რომ უფრო მეტი ქულა იქნება ხელმისაწვდომი ჩატარებული გამოთვლების ახსნისთვის, ვიდრე გამოთვლებისთვის.

თითოეული მოთხოვნა ყურადღებით უნდა წაიკითხოთ, რათა უზრუნველყოთ პასუხის გაცემა ყველა ნაწილზე. მაგალითად, (iii) მოთხოვნაში:

- [განიხილეთ] როგორ უნდა აღრიცხულიყო Strawberry-ის გასხვისების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ბარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში; და
- [განიხილეთ] როგორ უნდა აისახოს Strawberry-ში ფლობილი ინვესტიცია მისი ნაწილის გასხვისების შემდეგ...

თუ არ უპასუხებთ მოთხოვნის ყველა ნაწილს, თქვენთვის ხელმისაწვდომი ქულების რაოდენობა შეზღუდული იქნება.

შენიშვნაში მითითებულია, რომ გაანგარიშება შეიძლება ნაჩვენები იყოს პასუხის მთავარ ნაწილში ან დანართში. ცალკეული გამოთვლების წარმოება საგამოცდო რვეულის ერთ გვერდზე და იმავდროულად მათი ახსნა მეორე გვერდზე, მიიჩნევა გამოცდის ჩაბარების ეფექტურ მიდგომად და ბევრმა კანდიდატმა მაღალი ქულები მიიღო ამ მიდგომისთვის.



**თუ არ უპასუხებთ მოთხოვნის ყველა ნაწილს, თქვენთვის ხელმისაწვდომი ქულების რაოდენობა შეზღუდული იქნება.**

(გ) განიხილოთ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები ობლიგაციების გაყიდვის მიმართ, მათ შორის, წარმოდგინოთ გამოთვლები, რათა აჩვენოთ გავლენა 20X7 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. **(7 ქულა)**

**(30 ქულა)**

**მოთხოვნებთან დაკავშირებული შემფასებლის კომენტარები**

(გ) ნაწილში გთხოვდნენ გემსჯელათ იმის თაობაზე, უნდა შეწყდეს თუ არა გამოსყიდვის ხელსაყრელი/შეღავათიანი პირობით გაყიდული ობლიგაციების აღიარება ფასს 9-ის შესაბამისად. ასევე გთხოვდნენ გამოთვლების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ოპერაციის შემოქმედების საჩვენებლად. ქულები გამოყოფილი იყო გარიგების შინაარსის მთავარი ასპექტის დასადგენად.

**შენიშვნები 1-ელ კითხვაზე 1-ელი კანდიდატის მიერ გაცემული პასუხის შესახებ**

**1-ელი შენიშვნა**

ასეთი საბაზო გაანგარიშების წარმოდგენა პასუხში ამ დონის გამოცდაზე აუცილებელი არ არის. კანდიდატს შეეძლო უბრალოდ გამოეყო ეს გაანგარიშება კითხვების რვეულში.

**მე-2 შენიშვნა**

ერთი ქულა მიენიჭა სამართლიანი ღირებულების კორექტირების საჭიროების იდენტიფიცირებას. ვინაიდან კითხვის სცენარში უკვე ნაჩვენებია იყო, რომ შედენის თარიღისთვის წმინდა აქტივები შეადგენდა \$70 მლნ-ს, ეს გაანგარიშება ზედმეტი იყო.

**მე-3 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებული აქვს პირობითი კომპენსაციის დღევანდელ ღირებულებას (\$4 მლნ). თუმცა, გუდვილის ოდენობა არასწორია. შემფასებლის ამოცანა არ არის კანდიდატის პასუხის გადამუშავება იმის დასადგენად, თუ როგორ და სად წარმოიშვა შეცდომები. თუმცა, ამ სტატიის მიზნებისთვის, გეტყვით, რომ შეცდომა დაშვებულია არამაკონტროლებელი წილის სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისას, რადგან არამაკონტროლებელი წილი მხოლოდ 4 მლნ აქციას შეადგენს.

**მე-4 შენიშვნა**

ერთი ქულა იყო ხელმისაწვდომი, რომელიც მიეკუთვნა სამართლიანი ღირებულების კორექტირების ახსნაზე. (ერთი ქულა უკვე მიენიჭა თანხას, გ2-ში.)

**მე-5 შენიშვნა**

მხოლოდ ერთი ქულა იყო ხელმისაწვდომი მაკორექტირებელი საბუღალტრო გატარებისთვის. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იყო საჭირო საბუღალტრო გატარების მხოლოდ ნაწილი და ამიტომ პასუხი არასწორია, რადგან კრედიტი უნდა იყოს გუდვილი (კანდიდატის წინა განცხადების შესაბამისად). ამიტომ, ქულა მიკუთვნებული არ არის.

**მე-6 შენიშვნა**

ერთი ქულა იყო ხელმისაწვდომი, რომელიც მიეკუთვნა გამოთვლაში პირობითი კომპენსაციის ჩართვის აუცილებლობის ახსნას. (ერთი ქულა უკვე მიენიჭა თანხას გ3-ში.)

**მე-7 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებული იყო არამაკონტროლებელი წილის შეფასებაში შეცდომის გამოვლენაზე. მართალია, კანდიდატი აქ ცალსახად არ აცხადებს, რომ ეს შეცდომაა, მაგრამ ეს აშკარად იგულისხმება შემდეგში წარმოდგენილი მაკორექტი-

რებელი საბულალტრო გატარების მიხედვით. ქულები არ არის მიკუთვნებული ხელსაყრელი შესყიდვის გარიგებისა და გაუფასურების არსებობის მითითებაზე, რადგან სახელმძღვანელოში ნასწავლი ეს საკითხი არ შეესაბამება საგამოცდო კითხვის სცენარს.

**მე-8 შენიშვნა**

საბულალტრო გატარებაზე ქულა მიკუთვნებული არ არის, რადგან არასწორია. გავიმეორებთ, შეცდომის მითითება არ არის შემფასებლის ამოცანა, მაგრამ ამ სტატიის მიზნებისთვის გეტყვით, რომ არასწორია რეზერვების ანგარიშის დებეტი \$1 მლნ – სხვაობა პირობით კომპენსაციასა (\$4 მლნ) და სამართლიანი ღირებულების კორექტირებას (\$5 მლნ) შორის. კანდიდატის ერთადერთი შეცდომა არამაკონტროლებელი წილის გამოთვლა რომ ყოფილიყო (იხ. შენიშვნა 3), მას მიეკუთვნებოდა ქულა საბულალტრო გატარების გასწორებისთვის, რადგან ეს შეცდომა გამომდინარეობს წინა გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომიდან (ანუ, რადგან კანდიდატმა უკვე დაკარგა ქულა არამაკონტროლებელი წილის გაანგარიშებისთვის, იგი ხელმეორედ აღარ „დაჯარიმდებოდა“ იმავე შეცდომისთვის).

**მე-9 შენიშვნა**

კანდიდატი საკმარისად არ დაფიქრებულა პასუხის გაცემამდე. არასაჭირო გაანგარიშებების გამო (ამ შემთხვევაში, გ2) გამოცდაზე ყოველთვის შეგექმნებათ დროის უკმარისობის პრობლემა. არამაკონტროლებელი წილის გამოთვლაში შეცდომა შესაძლოა უყურადღებობამ გამოიწვიოს, მაგრამ კანდიდატმა მხოლოდ ერთი ქულა დაკარგა. გარდა ამისა, კანდიდატმა ერთი ქულა დაკარგა იმის გამო, რომ არ განიხილა პირობითი კომპენსაციის კორექტირების „მეორე მხარე“ და კიდევ ერთი ქულა – მაკორექტირებელი საბულალტრო გატარებისთვის (რადგან არ შეეხო არც სხვა სრულ შემოსავალს და არც რეზერვებს). დაფიქრება და დაგეგმვა საგამოცდო დროის ეფექტური გამოყენების საწინდარია.



**დაფიქრება და დაგეგმვა საგამოცდო დროის ეფექტური გამოყენების საწინდარია.**

**მე-10 შენიშვნა**

ორი ქულა იყო ხელმისაწვდომი, რომლებიც მიენიჭა Banana-ს მნიშვნელოვანი გავლენის ახსნას Strawberry-ში ფლობილ ინვესტიციაზე.

**მე-11 შენიშვნა**

დანარჩენი ორი ქულის მოსაპოვებლად კანდიდატს უნდა აეხსნა, რას წარმოადგენს „წილობრივი მეთოდით აღრიცხვა“ და ეჩვენებინა (ანუ გამოეთვალა) Strawberry-ში ფლობილი „ინვესტიციის საბალანსო ღირებულება“. ყურადღებით წაიკითხეთ მოთხოვნები, რათა დარწმუნდეთ, რომ უპასუხეთ მოთხოვნის ყველა ნაწილს.



**ყურადღებით წაიკითხეთ მოთხოვნები, რათა დარწმუნდეთ, რომ უპასუხეთ მოთხოვნის ყველა ნაწილს.**

**მე-12 შენიშვნა**

არანაირი ქულა არ არის მიკუთვნებული, ვინაიდან მითითებული არ იყო, თუ როგორ უნდა მოხდეს ინვესტიციის აღრიცხვა (ანუ „სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, „სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, თუ ამორტიზებული ღირებულებით). სცენარში შემოთავაზებული მეთოდი „სამართლიანი ღირებულებით შეფასება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ სწორი იყო, მაგრამ კანდიდატს ეს უნდა დაესაბუთებინა (იხ. შენიშვნა 14).

**მე-13 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებულია დარჩენილი წილის სამართლიანი ღირებულების გათვალისწინებისთვის გასხვისების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ბარალის გამოთვლაში. კანდიდატს მხოლოდ ერთადერთი რამ უნდა გაეკეთებინა: ამ გამოთვლიდან უნდა გამოერიცხა ინვესტიციის საბალანსო ღირებულება, რომელიც გამოთვლილი უნდა იყოს (ა)(ii) პუნქტის შესაბამისად. მაშინაც კი, თუ (ა)(ii)-ში მითითებული თანხა არასწორი იქნებოდა, კანდიდატს მიენიჭებოდა მეორე ქულა ამ გაანგარიშებისთვის, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი და იმავე შეცდომისთვის კანდიდატი ორჯერ არ დაისჯება“. თუმცა, როგორც ჩანს, კანდიდატი აქ დაიბნა და მეორე ქულა არ მიენიჭა.

**მე-14 შენიშვნა**

ერთი ქულა მიეკუთვნა იმის დასაბუთებას, თუ როგორ უნდა აღირიცხოს ინვესტიცია.

**მე-15 შენიშვნა**

ერთი ქულა აღიარების შეწყვეტის პრინციპის ჩამოყალიბებისთვის.

**მე-16 შენიშვნა**

ერთი ქულა თითოეული პუნქტისთვის, რომელიც ეხება ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის პრინციპის გამოყენებას სცენართან მიმართებით.

**მე-17 შენიშვნა**

ერთი ქულა დასკვნისთვის ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომის შესახებ.

**მე-18 შენიშვნა**

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა წარმოადგინა ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშება, გამოთვლა იწყება სამართლიანი ღირებულების თანხით. ეს ფუნდამენტურად არასწორია, რადგან ამორტიზებული ღირებულება სამართლიან ღირებულებამდე გადაანგარიშების საშუალებას არ იძლევა.

1-ელ კითხვის (ა) და (გ) მოთხოვნებზე 1-ლი კანდიდატის მიერ გაცემული პასუხის საბოლოო შეფასებაა 13/30.

**სულ:**  
**13/30**

## შენიშვნები 1-ელ კითხვაზე მე-2 კანდიდატის მიერ გაცემული პასუხის შესახებ

### 1-ელი შენიშვნა

სამივე ქულა მიკუთვნებულია გუდვილის სწორად გამოთვლაზე (ე.ი. თითო ქულა პირობით ფულად კომპენსაციაზე, არამაკონტროლებელ წილსა და სამართლიანი ღირებულების კორექტირებაზე).

### მე-2 შენიშვნა

არცერთი ქულა არ არის მიკუთვნებული, ვინაიდან უბრალოდ გაანგარიშების გადმოცემა სიტყვებით განხილვას არ ნიშნავს. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხსენება ტექნიკურად არასწორია, ვინაიდან სანარმოთა გაერთიანებისას შექმნილ სანარმოზე მოპოვებული კონტროლის სანაცვლოდ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები არ განეკუთვნება ფასს 2-ის მოქმედების სფეროს. თუმცა, რადგან არ არსებობს შეფასებისთვის განკუთვნილი უარყოფითი ქულა, ამისთვის კანდიდატი არ დაისჯება.



არ არსებობს უარყოფითი შეფასება.

### მე-3 შენიშვნა

არცერთი ქულა არ არის მიკუთვნებული, რადგან განხილული არ არის, რატომ უნდა მოხდეს არამაკონტროლებელი წილის გამოთვლა სამართლიანი ღირებულებით და არა პროპორციული მეთოდით. გაანგარიშებაზე ქულა უკვე მიკუთვნებული იყო (იხ. 1-ლი შენიშვნა). ასე, რომ გამეორებისთვის დამატებითი ქულა არ არის მიკუთვნებული.

### მე-4 შენიშვნა

ორი ქულაა მიკუთვნებული: ერთი იმის ახსნაზე, რატომ უნდა იყოს გამოყენებული დღევანდელი ღირებულება, ხოლო მეორე იმის ახსნაზე, შემდგომში განხორციელებული მისი შეფასება როგორ არ იმოქმედებს გუდვილის გამოთვლაზე.

### მე-5 შენიშვნა

გაანგარიშებები კარგია, მაგრამ ახსნა არ ახლავს. განხილული არ არის არამაკონტროლებელი წილის შეფასება (იხ. მე-2 შენიშვნა) და ნახსენები არ არის სამართლიანი ღირებულების კორექტირება. ქულა საბუღალტრო გატარებაზე დაიკარგა, რადგან პასუხი არ იყო ამაზე გაცემული.



არცერთი ქულა არ არის მიკუთვნებული უბრალოდ გაანგარიშების წესის სიტყვებით გადმოცემისთვის.

### მე-6 შენიშვნა

ხელმისაწვდომი იყო ერთი ქულა, რომელიც მიეკუთვნა საბალანსო ღირებულების გამოთვლას. ასევე, აქაც არანაირი ქულა არ არის მიკუთვნებული გაანგარიშების სიტყვებით გადმოცემისთვის.

### მე-7 შენიშვნა

ვინაიდან ახსნილი არ არის, რატომ იყო წილობრივი მეთოდით აღრიცხვა შესაფერისი მიდგომა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში Strawberry-ის ასახვისთვის, ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის ამ ნაწილზე პასუხი არ იყო გაცემული.

### მე-8 შენიშვნა

თუ მართო იმას იტყვით, რომ რალაცა „უნდა აისახოს“ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამისთვის ქულები არ იწერება უმაღლესი დონის გამოცდაზე. ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომა უნდა ჩამოყალიბდეს გასაგები ტერმინებით. მაგ., უნდა უპასუხოთ შემდეგ კითხვებს: (როგორ? სად? როდის?)



ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომა უნდა ჩამოყალიბდეს გასაგები ტერმინებით.

**მე-9 შენიშვნა**

ორი ქულა მიკუთვნებული იყო გაყიდვისას წარმოქმნილი შემოსულობის გამოთვლაზე. მიაქციეთ ყურადღება: სრულ ქულებს მაინც მიიღებდით, თუნდაც საბალანსო ღირებულება არ ყოფილიყო სწორი, იმ პირობით, თუ ეს თანხა შესაბამისობაში იქნებოდა (ა)(ii) ნაწილში ნაჩვენებ საბალანსო ღირებულებასთან.

**მე-10 შენიშვნა**

ანალოგიურად, ქულები აქაც არ არის მიკუთვნებული მხოლოდ გაანგარიშების სიტყვებით აღწერისთვის.

**მე-11 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებულია იმისთვის, რომ კანდიდატმა შეუქცევადი არჩევანის აუცილებლობა განსაზღვრა შემოთავაზებული კლასიფიკაციის „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ დასასაბუთებლად.

**მე-12 შენიშვნა**

კითხვაში გთხოვდნენ აღიარების შეწყვეტის მოთხოვნების განხილვას 20X6 წლის 1 ივნისის „გაყიდვასთან“ დაკავშირებით. ეს კომენტარები ეხება შექმნილი ობლიგაციების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და შესაფერისი არ არის.

**მე-13 შენიშვნა**

გამოთვლებისთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ 2 ქულა. 1 ქულა ობლიგაციის საბალანსო ღირებულების გამოთვლისთვის 20X6 1 ივნისისთვის და მეორე 20X7 წლის 30 ივნისისთვის. კანდიდატს ორივე ქულა მიენიჭა.

**მე-14 შენიშვნა**

ქულა მიკუთვნებულია დასკვნისთვის, მიუხედავად იმისა, რომ განხილული არ არის ფასს 9-ის პრინციპები.

**მე-15 შენიშვნა**

საბუღალტრო გატარება აშკარად არასწორია, ვინაიდან ფინანსური ვალდებულება მხოლოდ \$8 მლნ-ია (თავდაპირველად) და დაკავშირებული არ არის ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასთან.

**მე-16 შენიშვნა**

ეს გამოვრებაა.

მე-2 კანდიდატის მიერ 1-ელ კითხვაზე გაცემული პასუხის საბოლოო შეფასებაა 12/30.

**სულ:**  
**12/30**

**მე-2 კითხვა**

მე-2 კითხვა მოიცავს კონკრეტულ სცენარში/სიტუაციაში საჭირო ზოგიერთი სააღრიცხვო მიდგომის, მათი გავლენით გამოწვეული ეთიკური შედეგების და მათი მნიშვნელობის განხილვას. ეთიკის საკითხების ცოდნა შემონმდება ყველა გამოცდაზე და აუცილებელია, რომ კანდიდატებმა წარმოაჩინონ, როგორ ესმით შესაბამისი ეთიკური საკითხების მნიშვნელობა. ამ კითხვას ორი ქულა აქვს მიკუთვნებული პროფესიული უნარებისთვის/პროფესიონალიზმისთვის და ეს ქულები ეხება განხილვის ხარისხს.

**მოგეთხოვებათ:**

- ა) განიხილოთ ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომა, რომელიც Farham-მა უნდა გამოიყენოს თითოეულ შემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;
- ბ) განიხილოთ სცენარიდან წარმოქმნილი ეთიკური პრობლემები, მათ შორის ნებისმიერი ქმედება, რომელსაც უნდა მიმართოს Farham-მა და მისმა ბუღალტერმა. **(7 ქულა)**

მე-2 კითხვაში პროფესიონალიზმისთვის განკუთვნილი ქულები მოგენიჭებათ განხილვის ხარისხისთვის. **(2 ქულა)**

**(20 ქულა)**

ეთიკის საკითხების ცოდნა შემონმდება ყველა გამოცდაზე.





**ყველგან სავალდებულოა თეორიული ცოდნის გამოყენება სცენართან მიმართებით.**

**მოთხოვნებთან დაკავშირებული შემფასებლის კომენტარები**

ამ სტილის კითხვებზე პასუხის გაცემის ეფექტური მიდგომა განხილული იყო ACCA-ს სტატიაში „გამოცდის ჩაბარების ტექნიკა“, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალის აპრილის თვის ნომერში:

- **წაიკითხეთ** სცენარი ორი „სიტუაციის“ და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხების **გამოსავლენად**:
  - ქარხნის შენობის დაჯდომა/დანევა (5 ქულა): მომავალი კაპიტალური რემონტი (დანახარჯები დაზღვევის გარეშე). ინფორმაცია გამჟღავნებული არ არის. გაუფასურება გათვალისწინებული არ არის. არანაირი ანარიცხი. გადაფასების ნამეტის შემოთავაზებული გამოყენება.
  - შვილობილი საწარმოს დაგეგმილი გაყიდვა (6 ქულა): გასაყიდად გამიზნული. რესტრუქტურირების ანარიცხი, მათ შორის სამომავლო სავაჭრო ზარალი.
- **იფიქრეთ და გაიაზრეთ** შემოთავაზებული სააღრიცხვო მიდგომები, მთავარი აღმასრულებელი დირექტორის არასათანადო საქციელის გათვალისწინებით;
- **დაგეგმეთ** პასუხში გასათვალისწინებელი მოსაზრებები, რათა თავიდან აიცილოთ გამეორება და შეუსაბამო მოსაზრებები. დირექტორის ქცევით განპირობებული ეთიკური პრობლემები (ბ) ნაწილში უნდა განიხილოთ.
- პასუხში თითოეული „სიტუაციისთვის“ **გამოიყენეთ** შესაფერისი კონკრეტული სათაურები.

(ბ) ნაწილში გთხოვენ „სცენარიდან წარმოქმნილი“ ეთიკური პრობლემების განხილვას. ყველგან სავალდებულოა თეორიული ცოდნის გამოყენება სცენართან მიმართებით.

პროფესიული ქულების მისაღებად კანდიდატის მთელი პასუხი განიხილება იმის გათვალისწინებით, კანდიდატმა წარმოაჩინა თუ არა, რომ:

- ესმის პრობლემის რეალური არსი;
- ფართოდ გამოიყენა/გათვალისწინა სხვა რესურსები, სადაც შესაფერისი და მიზანშეწონილი იყო ამის გაკეთება;
- სიღრმისეულად ესმის, რა უნდა გაკეთდეს სიტუაციის მოსაგვარებლად (კითხვის მოთხოვნის საფუძველზე „ნებისმიერი ქმედება, რომელიც Farham-მა და მისმა ბუღალტერმა უნდა განახორციელონ“).

**შენიშვნები მე-2 კითხვაზე  
1-ელი კანდიდატის მიერ  
ბაცემული პასუხის შესახებ**

**1-ელი შენიშვნა**

შესავალ ნაწილში (ზოგადი ინფორმაცია) მოცემულია ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის სიტუაციისა და განსახილველი საკითხების შესახებ. კითხვის ეს ნაწილი გულდასმით უნდა წაიკითხოთ, რათა გამოავლინოთ „მინიშნებები“, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოთ. მაგალითად, მოგებასთან დაკავშირებული პრემიების სქემა უნდა მიგანიშნებდეთ, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხელმძღვანელობის მიკერძოებას მოგების გადიდების მიზნით (მაგ., ვალდებულებების შემცირებით). ეს მხედველობაში უნდა იქონიოთ პასუხის დაგეგმვისას. ზოგადი ინფორმაციის აბზაცში განხილული არ იყო არცერთი საკითხი ორი განსახილველი საკითხიდან და ასეთი პასუხის დაწერა არის დროის გაფლანგვა. პრემიების სქემა, თავისთავად, პრობლემას არ წარმოადგენდა – მისი ფორმა (აქციებზე დაფუძნებულ ან სხვაგვარი) იყო სპეკულაციის საგანი. შეუძლებელია რაიმე ქულების მიკუთვნება, ვინაიდან ეს არ პასუხობს დასმულ კითხვას.

**მე-2 შენიშვნა**

ქულები მიკუთვნებული არ არის სცენარში მოცემული ინფორმაციის გამეორებისთვის.



**ქულები მიკუთვნებული არ არის სცენარში მოცემული ინფორმაციის გამეორებისთვის.**

**მე-3 შენიშვნა**

ქულები მიკუთვნებული არ არის. არასწორია პასუხში მითითებული პირობითი ვალდებულების დამახასიათებელი ნიშნები. მართალია, სწორია, რომ ეს არ არის ანარიცხი, მაგრამ ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ შეუძლებელია მისი შეფასება, არამედ ის, რომ არ არსებობს ვალდებულება.

**მე-4 შენიშვნა**

პირველ წინადადებაში გამეორებულია სცენარის ინფორმაცია, მხოლოდ დამატებული აქვს შემდეგი სიტყვები „რაც არ არის სწორი“. ვინაიდან შემფასებელი ვერ მიხვდება კანდიდატის ჩანაფიქრს ახსნის გარეშე, ასეთ ნაწერში ქულას ვერ მიიღებთ. ერთი ქულა მიკუთვნებულია იმის აღიარებისთვის, რომ გაუფასურება არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ტესტირებას საჭიროებს საწარმოო მოწყობილობების საბალანსო ღირებულება და არა სარემონტო დანახარჯები (რაც ხარჯებში უნდა აისახოს).

**მე-5 შენიშვნა**

აქ ქულები მიკუთვნებული არ არის სახელმძღვანელოს ცოდნის გამეორებისთვის, რომელიც დაკავშირებული/მისადაგებული არ არის სცენართან.

**მე-6 შენიშვნა**

არანაირი ქულა არ არის მიკუთვნებული, რადგან წინა მოსაზრების გამეორებაა ფაქტობრივად.

**მე-7 შენიშვნა**

პირველი წინადადება არ არის შესაფერისი. ერთი ქულა მიკუთვნებულია იმის მიზეზის ახსნაზე, რატომ არის შესაფერისი გადაფასების მიდგომის გამოყენება. მართალია, ამ მიდგომის სწორი დასაბუთება მოცემულია ბასს 16-ში, მაგრამ კანდიდატი არ დაისჯება კონცეპტუალური საფუძვლების მითითებისთვის.

**მე-8 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებულია სცენარის ინფორმაციის გამოყენებისთვის „გასაყიდად გამიზნულის“ კრიტერიუმებთან მიმართებით, ხოლო მეორე ქულა დასკვნისთვის, რომ ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. არანაირი ქულა არ არის მიკუთვნებული რესტრუქტურიზაციის ანარიცხის თანხისთვის. ვინაიდან არასწორია. ანარიცხი უნდა ყოფილიყო \$13 მლნ (\$2 მლნ იურიდიული + \$5 მლნ შემცირება + \$6 მლნ ჯარიმა).

**მე-9 შენიშვნა**

ეს არასწორია. სამომავლო სავაჭრო ზარალის თანხიდან მხოლოდ \$6 მლნ უნდა ყოფილიყო ჩართული, საიტარო აქტივთან დაკავშირებული ჯარიმის ადრე გადახდა.

**მე-10 შენიშვნა**

თითო ქულა მიკუთვნებულის სამი შესაფერისი კომენტარიდან თითოეულზე.

**მე-11 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებულია დირექტორთან დაკავშირებული სათანადო საკითხის შესაფერისი ახსნისთვის. ქულა მიკუთვნებული არ არის მეორე წინადადებისთვის, რომელიც ეხება იმის ახსნას, ბუღალტერი რატომ შეიძლება არ იყოს დარწმუნებული (ან რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული განუსაზღვრელობა), ხოლო „რჩევის საჭიროებაზე“ მითითება – ძალიან ზოგადია.

**მე-12 შენიშვნა**

მთელი ეს პუნქტი სცენარის ინფორმაციის გამეორებაა. აქ განხილული არ არის შესაბამისი ეთიკური საკითხები.

**მე-13 შენიშვნა**

ქულა უკვე მიკუთვნებული იყო იმის აღნიშვნაზე, რომ ბუღალტერი უნდა მოქმედებდეს პროფესიონალურად (იხ. შენიშვნა 10). ერთი ქულა მიკუთვნებულია ზოგადი ქმედების შეთავაზებაზე, რომ უნდა მიმართოს პროფესიულ/იურიდიულ კონსულტაციას. თუმცა, ამ ეტაპზე ნაადრევია გადადგომის საკითხის განხილვა.

**მე-14 შენიშვნა**

ქულა მიკუთვნებული არ არის, ვინაიდან ესეც გადმოწერილია კითხვიდან.

**მე-15 შენიშვნა**

აქ გამეორებულია პასუხის მეორე წინადადება, რისთვისაც უკვე მიკუთვნებული იყო ქულა, ასე, რომ დამატებითი ქულის მიკუთვნება შეუძლებელია.

**მე-16 შენიშვნა**

შესაძლოა კანდიდატი ეძებდა ქმედებას, რომელიც ღირექტორებს უნდა განეხორციელებინათ და არა ბულალტერს. თუმცა, პასუხში შემოთავაზებული მოსაზრება ძალიან ბუნდოვანია (ვის უნდა წარუდგინონ ანგარიში? და რა მიზნით?).

**მე-17 შენიშვნა**

მართალია, კანდიდატმა წარმოადგინა რამდენიმე შესაფერისი მოსაზრება, რაც სათანადო აღიარებას იმსახურებდა, მაგრამ აქ არ არის რეალური განხილვა. კანდიდატმა ბევრჯერ გაიმეორა სცენარის ინფორმაცია, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთთან დაეკავშირებინა ამ ინფორმაციის სხვადასხვა „ძაფი“, რათა შეეფასებლისთვის ეჩვენებინა, რომ იცის ეთიკის პრინციპები და საკითხები. ბულალტრის საექვო კომპენტენტურობაზე კანდიდატს საერთოდ არაფერი უთქვამს. ამიტომ, ქულები არ მიენიჭა პროფესიული უნარებისთვის.

1-ელი კანდიდატის მიერ მე-2 კითხვაზე გაცემული პასუხის საბოლოო შეფასებაა 9/20.

**სულ:**  
**9/20**

**შენიშვნები მე-2 კითხვაზე მე-2 კანდიდატის მიერ გაცემული პასუხის შესახებ**

**1-ელი შენიშვნა**

ქულები მიკუთვნებული არ არის თეორიული (სახელმძღვანელოს) ცოდნისთვის, რომელიც დაკავშირებული არ არის სცენართან.

**მე-2 შენიშვნა**

ქულები მიკუთვნებული არ არის თეორიული ცოდნის არასწორად გამოყენებისთვის. ანარიცხები არ შეიძლება შეიქმნას სამომავლო სარემონტო სამუშაოებისთვის, ვინაიდან ვალდებულება არ არსებობს.

**მე-3 შენიშვნა**

ქულები მიკუთვნებული არ არის არასწორ დასკვნაზე, არც სახელმძღვანელოს ცოდნის გამოვრებაზე.

**მე-4 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებულია სანარმოო მოწყობილობების გაუფასურების აღიარებაზე. დამა-

ტებითი ქულების მისაღებად კანდიდატს უნდა განესაზღვრა შესაფერისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული და უნდა აღენიშნა, როგორ განისაზღვრება შესაფერისი შეფასებები (სამართლიანი ღირებულება და გამოყენების ღირებულება).

**მე-5 შენიშვნა**

ერთი ქულა იყო ხელმისაწვდომი, რომელიც მიეკუთვნა იმის აღნიშვნაზე, რომ გადაფასების ნაშეტის გამოყენება არ შეიძლება ზარალის მიმართ, რომელიც წარმოიქმნება სანარმოო მოწყობილობებთან მიმართებით.

**მე-6 შენიშვნა**

ანალოგიურად, აქაც ქულები არ არის მიკუთვნებული სახელმძღვანელოს ცოდნის გამოვრებაზე, ვინაიდან დროის ფუჭად გაფლანგვა სახელმძღვანელოს ცოდნის ამგვარად გადმოტანა საგამოცდო კითხვის პასუხში.

**მე-7 შენიშვნა**

არანაირი ქულა არ არის მიკუთვნებული უბრალოდ სცენარში მოცემული ინფორმაციის გამოვრებისთვის.

**მე-8 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებულია კრიტერიუმების გამოყენებაზე, ხოლო კიდევ ერთი ქულა – სწორ დასკვნაზე. მიაქციეთ ყურადღება, რომ ამის გადმოცემა უფრო ლაკონურად შეიძლება ბოდა სცენარიდან აღებული ნაკლები დეტალების გამოვრების გარეშე.

**მე-9 შენიშვნა**

ანარიცხი არ შეიძლება შეიქმნას სამომავლო სავაჭრო ზარალისთვის, ამიტომ ამ არასწორ განცხადებაზე ქულა მიკუთვნებული არ არის.

**მე-10 შენიშვნა**

ერთი ქულა მიკუთვნებულია იმის აღნიშვნაზე, რომ ანარიცხი უნდა შეიქმნას იურიდიული დანახარჯებისთვის. ბულალტრული გატარება არასწორია, მაგრამ ვინაიდან შეფასებისთვის არ არსებობს უარყოფითი ქულები, ამისთვის კანდიდატი ვერ დაისჯება.

**მე-11 შენიშვნა**

ქულა მიკუთვნებული არ არის არასწორ დასკვნაზე, რომელიც ისეთ დაშვებას ეყრდნობოდა, რომელიც ეწინააღმდეგება სცენარის ინფორმაციას. სცენარში თანამშრომელთა შემცირების დანახარჯებზე ნათლად არის მითითებულ, რომ ეს არის გაყიდვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანახარჯი.

ქულები მიკუთვნებული არ არის თეორიული ცოდნისთვის, რომელიც დაკავშირებული არ არის სცენართან.

**მე-12 შენიშვნა**

ორი ქულა მიკუთვნებულია იმის ახსნაზე, რატომ არ არის ეთიკური დირექტორის ქცევა ფინანსურ ანგარიშგებაზე მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის კონტექსტში.

**მე-13 შენიშვნა**

ორი ქულაა მიკუთვნებული, თითო ქულა თითოეულ შესაფერის ქმედებაზე.

**მე-14 შენიშვნა**

კანდიდატს უფრო გარკვევით უნდა აეხსნა, როგორ შეიძლება ბულალტერი მოქმედებდეს არაეთიკურად, მაგრამ ერთი ქულა მაინც მიკუთვნებულია პროფესიული და იურიდიული კონსულტაციის საჭიროების მითითებაზე.

**მე-15 შენიშვნა**

მართალია, ეს მომენტი ნახსენები არ არის გამოქვეყნებულ პასუხში, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი ქმედებაა, რომლის განხორციელებაც Farham-ს შეუძლია და ამიტომ მიკუთვნებული აქვს ერთი ქულა.

**მე-16 შენიშვნა**

მართალია, კანდიდატს ისევ გამორჩა მხედველობიდან ბულალტრის კომპეტენტურობა, როგორც ეთიკური საკითხი, მაგრამ კანდიდატმა სცადა დირექტორის ქცევის განხილვა, რომელიც მიანიშნებს ანგარების საფრთხეზე. კანდიდატმა შემოგვთავაზა ბულალტრის გონივრული საპასუხო ქმედების ვარიანტი, რომლისთვისაც უნდა მიემართა იურიდიული კონსულტაციის გავლამდე. ბოლო მოსაზრება გვიჩვენებს, რომ კანდიდატს ესმის პრობლემის არსი – მოგებასთან დაკავშირებული ამჟამინდელი პრემირების სქემა. ამგვარად, ამ მოკლე პასუხმა დაიმსახურა პროფესიონალიზმისთვის განკუთვნილი ორივე ხელმისაწვდომი ქულა.

მეორე კანდიდატის მიერ მე-2 კითხვაზე გაცემული პასუხის საბოლოო შეფასებაა 11/20.

**სულ:**  
**11/20**

# 2018 წლის სექტემბერი, შეფასებული პასუხები

## 1-ელი კითხვა – 1-ელი კანდიდატის პასუხი

(ა)(ი)

გ1. ჯგუფის სტრუქტურა

Banana → Grape (80%)

შეძენის თარიღი 1/01/X7, ანუ 6 თვის წინ

გ2. GRAPE-ის წმინდა აქტივები

წმინდა აქტივები	@ შეძენა (\$მლნ)	@ სანგარიშგებო თარიღი (\$მლნ)	სხვაობა (\$მლნ)
საკუთარი კაპიტალის აქციები	20	20	0
გაუნაწილებელი მოგება	42		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	8		
მიწის ნაკვეთის სამართლიანი ღირებულების ზრდა	5	5	
სულ წმინდა აქტივები	75		

გ3. გუდვილი

კომპენსაცია:	გამოთვლა	თანხა
კომპენსაცია აქციებით	10მლნ * 6.80	68
პირობითი კომპენსაცია	16m * 0.25	4
არამაკონტროლებელი წილის სამართლიანი ღირებულება შეძენისას	10m * 4.25	42.5
მინუს წმინდა აქტივები შეძენისას		75
გუდვილი		39.5

შეძენისას Grape-ის წმინდა აქტივების გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მიწის ნაკვეთის სამართლიანი ღირებულების ზრდა, რადგან შვილობილი საწარმოს აქტივების ღირებულება უნდა გადაფასდეს შეძენის თარიღისთვის განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებამდე, რათა წარვადგინოთ რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ობიექტურად ასახავს შვილობილი საწარმოს ღირებულებას შეძენისას.

ასევე, მიწის სამართლიანი ღირებულების ზრდის არასწორად ჩართვა გამოთვლაში იწვევს გუდვილის ღირებულების გაზრდას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

შესაბამისი საბუღალტრო გატარება იქნება:

დებეტი გრძელვადიანი აქტივები      \$5მლნ  
კრედიტი სხვა სრული შემოსავალი      \$5მლნ

ქულები

შენიშვნები

0

← შენიშვნა 1

1

← შენიშვნა 2

1

← შენიშვნა 3

1

← შენიშვნა 4

0

← შენიშვნა 5

პირობითი კომპენსაცია მინც უნდა ჩაირთოს გუდვილის გაანგარიშებაში, რადგან ის მთლიანი კომპენსაციის ნაწილია. თუმცა, ეს უნდა გამრავლდეს მისი წარმოქმნის ალბათობაზე, რათა მივიღოთ/გამოვიტვალოთ მოსალოდნელი ღირებულების ციფრი.

1

← შენიშვნა 6

არამაკონტროლებელი წილის გამოსათვლელად სამართლიანი ღირებულების მეთოდის ნაცვლად, პროპორციული მეთოდის გამოყენება ამცირებს გუდვილის ღირებულებას, როგორც ზემოთ ვნახეთ და პოტენციურად ზრდის ხელსაყრელი შესყიდვის ალბათობას.

1

← შენიშვნა 7

ეს იმასაც ნიშნავს, რომ გუდვილის ნებისმიერი გაუფასურება მიეკუთვნება მხოლოდ Banana-ს და არა არამაკონტროლებელ წილს.

ამრიგად, ამ შეცდომის გამოსასწორებლად, დირექტორს დასჭირდება საბუღალტრო გატარება:

0

← შენიშვნა 8

ღებები გუდვილი (39.5 - 12) = \$27.5მლნ

კრედიტი არამაკონტროლებელი წილი (42.5 - 14) = \$28.5მლნ

ღებები საკუთარი კაპიტალის რეზერვები \$1მლნ

**სულ - ნაწილი ა(i):**  
**5/8**

← შენიშვნა 9

**(ii)**

წილობრივი მეთოდით აღრიცხვა გამოიყენება მეკავშირე საწარმოს აღრიცხვისას. მეკავშირე საწარმოზე მშობელ საწარმოს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა, მაგრამ არა კონტროლი. ეს იმ შემთხვევაში იგულისხმება, როდესაც მეკავშირე საწარმოს (Strawberry) აქციების 29%-50% ფლობს მშობელი საწარმო (Banana), თუ არ არსებობს ამ სიტუაციის შემამსუბუქებელი სხვა ფაქტორები. ამ შემთხვევაში Banana-ს ეკუთვნის 40%, რაც მნიშვნელოვან გავლენაზე მიანიშნებს.

2

← შენიშვნა 10

გარდა ამისა, Banana-ს უფლება აქვს, დანიშნოს 5 დირექტორიდან 1, რაც ასევე მიუთითებს მნიშვნელოვან გავლენაზე.

**სულ - ნაწილი ა(ii):**  
**2/4**

← შენიშვნა 11

**(iii)**

თავისი აქციების გაყიდვისა და მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემდეგ მან ახლა Strawberry-ი უნდა აღრიცხოს, როგორც ფინანსური აქტივი. ამგვარად, წილობრივი მეთოდით აღრიცხვა აღარ იქნება გამოყენებული და ის უბრალოდ აისახება სხვა ფინანსურ აქტივებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გრძელვადიან აქტივებში.

0

← შენიშვნა 12

	\$მლნ
შემოსულობა გაყიდვიდან	19
დარჩენილი წილის სამართლიანი ღირებულება	4.5
	23.5
მინუს: წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება გაყიდვისას	50
გუდვილი გაყიდვისას	
მინუს: არამაკონტროლებელი წილის სამართლიანი ღირებულება გაყიდვისას	

1

← შენიშვნა 13

**გუდვილი**

	შმლნ
გადახდილი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულება	18
არამაკონტროლებელი წილის სამართლიანი ღირებულება შეძენისას	
მინუს წმინდა აქტივები შეძენისას	41
გუდვილი	

იმის გამო, რომ მათ არ სურთ თავიანთი დარჩენილი აქციების შენარჩუნება სავაჭრო მიზნებისთვის, მათ შეუძლიათ ინვესტიციის კლასიფიცირება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

0

← შენიშვნა 13

1

← შენიშვნა 14

**სულ - ნაწილი ა(III):  
2/4**

**(გ)**

გაყიდვას მაშინ აქვს ადგილი, როცა გამყიდველი არსებითად კარგავს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებს, ცვალებადი შემოსავლის მიღების უფლებას, აქტივის რისკებს და ა.შ. მაშასადამე, მასზე გავლენას არ ახდენს ინსტრუმენტის ღირებულების შემდგომი ცვლილებები.

1

← შენიშვნა 15

გაყიდვა მაშინ არის მოსალოდნელი, თუ გარიგების ფასი დადგენილია სამართლიანი ღირებულებით/საბაზრო ღირებულებით. ამ შემთხვევაში, ობლიგაციები მესამე მხარეზე \$2,5 მლნ-ად გაიყიდა, ანუ მის სამართლიან ღირებულებაზე ნაკლებ ფასად.

1

← შენიშვნა 16

Banana აუნაზღაურებს მესამე მხარეს ობლიგაციების ნებისმიერი გაუფასურებისთვის, ხოლო მესამე მხარე ვალდებულია, Banana-ს დაუბრუნოს კუპონის პროცენტი. ამგვარად, Banana ინარჩუნებს საკუთრების რისკებსა და სარგებელს.

1

← შენიშვნა 17

ამგვარად, ოპერაცია უნდა აისახოს, როგორც სესხი და არა როგორც გაყიდვა. ამიტომ Banana-მ არ უნდა შეწყვიტოს აქტივის აღიარება.

1

← შენიშვნა 18

თარიღი	დაწყება (\$მლნ)	პროცენტი (7%)	გადახდილი ფულადი სახრები (5%*10მლნ)	დასრულება
(\$მლნ)				
30.6.x7	10.5	0.735	-0.5	10.735
30.6.x8	10.735	0.751	-0.5	10.99

0

← შენიშვნა 15

**სულ - ნაწილი (გ):  
4/7**

**სულ:  
13/30**

## 1-ელი კითხვა – მეორე კანდიდატის პასუხი

ქულები

შენიშვნები

(ა)

(i) გუდვილის გამოთვლა

$$B \xrightarrow{80\%} G$$

გადაცემული კომპენსაცია      აქციები =  $10 \times 1 \times 6.8 = 68$   
 ფულადი სახსრები =  $16 \times 25\% = 4$   
 არამაკონტროლებელი წილი       $4.75 \times 20 = 85 \times 0.2 = 17$

იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება (75)

სააქციო კაპიტალი	20	
გაუნაწილებალი მოგება	40	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	8	
სამართლიანი ღირებულების კორექტირება - მიწა	5	
გუდვილი	14	3

← შენიშვნა 1

გადაცემული კომპენსაცია მოიცავს ფულად სახსრებს და აქციებზე დაფუძნებულ გადახდას. რაც შეეხება აქციებზე დაფუძნებულ გადახდას, ის გამოითვლება აქციის ფასის გამრავლებით აქციების რაოდენობაზე.

0

← შენიშვნა 2

არამაკონტროლებელი წილი გათვალისწინებული უნდა იყოს. არამაკონტროლებელი წილი უდრის აქციის ფასის ნამრავლს აქციების რაოდენობაზე, არამაკონტროლებელი წილის 20%-ის პროპორციით:  $4.25 \times 20 \times 20\% = 17$ .

0

← შენიშვნა 3

გარდა ამისა, ფულადი კომპენსაცია 18 მლნ არ უნდა იყოს გამოყენებული მისი თარიღის „2019 წლის 1 იანვარი“ გამო. გამოყენებული უნდა იყოს შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული დღევანდელი ღირებულება, 16 მლნ. კომპენსაციის ეს ნაწილი დისკონტის პოზიცია გაეხსნება შემდგომში 20X9 წელს და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ეს გავლენას არ ახდენს გუდვილის გაანგარიშებაზე.

2

← შენიშვნა 4

**სულ - ნაწილი ა(i):**  
**5/8**

← შენიშვნა 5

(ii)

გაყიდვის თარიღისთვის Strawberry-ში ფლობილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულება უნდა მოიცავდეს აქციების შესყიდვის ღირებულებას და შეძენის შემდგომ რეზერვებს, რომელიც ეკუთვნის Banana-ს:

შეძენის ფასი	\$18 მლნ	
(+) შეძენის შემდგომი რეზერვები	\$2.4მ მლნ	
	$\$80 \text{ მლნ} - \$44 \text{ მლნ}) \times 40\%$	_____
საბალანსო ღირებულება	\$20.4 მლნ	

1

← შენიშვნა 6

**სულ - ნაწილი ა(ii):**  
**1/4**

← შენიშვნა 7



**(iii)**

ვინაიდან Banana-ს აღარ ეკუთვნის Strawberry-ის 40%, მან ეს უნდა ასახოს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამგვარად, აქციების 30% წილის გაყიდვა უნდა აისახოს, როგორც:

შემოსულობა	\$19 მლნ	0	←	შენიშვნა 8
დარჩენილი ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება	\$4.5 მლნ			
(-) ინვესტიციის საბალანსო ღირებულება	(\$20.4 მლნ) (ii)-ის მიხედვით	2	←	შენიშვნა 9
შემოსულობა გაყიდვიდან	\$3.1 მლნ			

შემოსულობა გაყიდვიდან \$3.1 უნდა გამოვითვალოთ აქციების 40% -ის შედარებით, რომელიც ნაჩვენებია Banana-ს ფინანსურ ანგარიშგებაში გაყიდვის თარიღისთვის და 30% წილის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა დარჩენილი წილის 10%-ის ფინანსური დანახარჯი.

10% დარჩენილი წილი ახლა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური აქტივი. ის უნდა შეფასდეს აღიარების თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით და ვინაიდან Banana-მ გამოიყენა შეუქცევადი არჩევანის უფლება, ეს შეეფასებინა „სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, ეს თანხა უნდა შეფასდეს ყოველი წლის ბოლოს, ნებისმიერი განსხვავების გათვალისწინებით, რომელიც ასახულია სხვა სრულ შემოსავალში..

სულ - ნაწილი ა(iii):  
3/4

**(ბ)**

ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით:

- თუ ვალი მხოლოდ შესანარჩუნებლად არის გამიზნული, იგი შეფასდება ამორტიზებული ღირებულების მოდელით. საწყისი შეფასება არის სამართლიან ღირებულებას პლუს გარიგების დანახარჯი და შემდგომი შეფასებისთვის გამოიყენება ამორტიზებული ღირებულების მოდელი.
- თუ ვალის გაყიდვა შესაძლებელია, იგი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ვალის სამართლიანი ღირებულების ცვლილება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და როდესაც გასხვისდება, ხელახლა შეფასდება მოგებაში ან ზარალში ასახვისთვის.

7.20X5 10მლნ საპროცენტო განაკვეთი 5%  
 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = 7%

საწყისი შეფასება: no transaction price and therefore:

1.7.20X5	10	1	←	შენიშვნა 14
+ ეფექტური საპროცენტო შემოსავალი (10 x 7%)	0.7			
– მიღებული კუპონი	(0.5)			
1.7.20X6	10.2			

1.7.20X7 წელს Banana-მ ობლიგაცია მესამე მხარეს \$8 მლნ-ად მიჰყიდა, მაგრამ ობლიგაციის საბალანსო ღირებულება შეადგენს \$10.2 მლნ-ს, ხოლო სამართლიანი ღირებულება – \$10.5 მლნ-ს. ამის შემდეგ Banana-ს უფლება აქვს ობლიგაცია \$8,8 მლნ-ად გამოისყიდოს. ამიტომ, ეს საფინანსო საქმიანობას ჰგავს და სესხი უნდა აღიარდეს.

0

2

0

1

0

1

1

1.7.20X6	10.2	
+ ეფექტური საპროცენტო შემოსავალი (10.2 x 7%)	0.714	
- მიღებული კუპონი	(0.5)	
1.7.20X7	<u>10.414</u>	
ამგვარად: 1.7.20X6		

1

← შენიშვნა 16

	დებიტი	კრედიტი
სასესხო ვალდებულება		10.2
ფულადი სახსრები	8	
გაუნაწილებელი მოგება	2.2	

0

← შენიშვნა 17

სესხი წარმოიქმნება დაფინანსებიდან – ობლიგაციის ზრდა 10.2  
 ფულადი სახსრები მოკლევადიანი აქტივი: 8 (ზრდა)

0

← შენიშვნა 18

სულ - ნაწილი (გ):  
3/7

სულ:  
12/30

## 2018 წლის სექტემბრის გამოცდა, გამომცდელის მიერ შეფასებული პასუხები

ქულები

შენიშვნები

### მე-2 კითხვა – 1-ელი კანდიდატის პასუხი

(ა)

#### ზოგადი ინფორმაცია

Farham-მა თავის თანამშრომლებს შესთავაზა კომპანიის შედეგებზე დაფუძნებული გადახდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მან თანამშრომლებს შესთავაზა აქციებზე დაფუძნებული გადახდა.

0

← შენიშვნა 1

მაგრამ კომპანიის შედეგები იმდენად არადაამაკმაყოფილებელი იყო, რომ Farham-მა გადაწყვიტა თავისი შვილობილი საწარმოს გაყიდვა მისი ძალიან დიდი ზარალის გამო.

#### (1) ქარხნის შენობის „დაჯდომა“

Farhamს აქვს ქარხანა, რომლის შენობამაც 20X8 წლის იანვრიდან „დაჯდომა“ დაიწყო.

0

← შენიშვნა 2

ეს არის პირობითი ვალდებულება:

- (i) იმიტომ, რომ ეს არის წარსული მოვლენა
- (ii) მისი მოხდენა მოსალოდნელია
- (iii) გაურკვეველია, როდის აღმოიფხვრება პრობლემა.

თუმცა, ეს არ აკმაყოფილებს ბასს 37-ში მოცემულ ანარიცხის განმარტებას, ვინაიდან ძნელია მისი საიმედოდ შეფასება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ უნდა აისახოს, როგორც ანარიცხი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

0

← შენიშვნა 3

ამკარაა, რომ ეს არის პირობითი ვალდებულება და უნდა გამჟღავნდეს ბასს 37-ის შესაბამისად ანგარიშგების შენიშვნაში, სადაც ახსნილი იქნება მისი არსი.

(2) გაუფასურების ზარალი

ღირექტორი არ ფიქრობს, რომ შენობის „დაჯდომა“ არის გაუფასურების ინდიკატორი, ვინაიდან არ არსებობს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რაც არ არის სწორი. თუმცა, სარემონტო სამუშაოების დანახარჯები უნდა შემოწმდეს გაუფასურებაზე, ვინაიდან ძირითადი საშუალების დაზიანება არის გაუფასურების ინდიკატორი ბასს 36-ის შესაბამისად.

1

← შენიშვნა 4

გაუფასურების ტესტები უნდა ტარდებოდეს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამ ტესტის დროს ერთმანეთს უნდა შეუდაროთ საბალანსო ღირებულება და ანაზღაურებადი ღირებულება.

0

← შენიშვნა 5

Farham-მა რეგულარულად უნდა ჩაატაროს გაუფასურების შემოწმება, კერძოდ, მაშინ როდესაც ინდიკატორები წარმოიქმნება. Farham-მა ტესტი უნდა ჩაატაროს თანამიმდევრულად და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

0

← შენიშვნა 6

(3) გადაფასების ნამეტი

გადაფასების ნამეტი უნდა აისახოს სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით. მიზანშეწონილი არ არის მისი გამოყენება ქარხნის შენობის დაჯდომით გამოწვეული სამომავლო ზარალისთვის, რადგან ძირითადი საშუალებების გადაფასებას არ შეესაბამება შენობის დაჯდომა და არ შეესაბამება კონცეპტუალურ საფუძვლებს.

1

← შენიშვნა 7

Newal-ის გაყიდვა

(i) რესტრუქტურზაცია

20X8 წლის 30 ივნისს Farham-ს ჰქონდა გაყიდა შვილობილ საწარმო Newal-ში კუთვნილი 80% წილი.

0

← შენიშვნა 2

რესტრუქტურზაციის გეგმა უნდა აღიარდეს, რადგან:

(i) გეგმა დაამტკიცა დირექტორთა საბჭომ

(ii) Oldcastle იქნება სავარაუდო მყიდველი

2

← შენიშვნა 8

(iii) მოსალოდნელია, რომ გაყიდვა დასრულდება 20X8 წლის დეკემბერში, ე.ი. ერთი წლის განმავლობაში.

ამგვარად, შვილობილი საწარმო უნდა აღიარდეს, როგორც გასაყიდად გამიზნული და რესტრუქტურზაციის ანარიცხი, როგორც

0

← შენიშვნა 8

\$29 მლნ (30 – 6 + 5).

ჯარიმის წინასწარ გადახდა არ უნდა აღიარდეს სამომავლო სავაჭრო ზარალში, ვინაიდან აქტივზე მისაკუთვნილებელი ვალდებულება გადაეცემა Oldcastle-ს.

0

← შენიშვნა 9

**სულ - ნაწილი (ა):  
4/11**

**(ბ)**

(i) დირექტორი უარს ამბობს, რომ გაამჟღავნოს ქარხნის შენობის დაჯდომასთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუმცა მან იცის რომ ეს არ შეესაბამება ბასს-ს.

0

← შენიშვნა 2

ეს არის პათიოსნების ეთიკური პრინციპის დარღვევა.

1

← შენიშვნა 10

დირექტორებს ევალუბათ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად.

1

← შენიშვნა 10

ბულალტერმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიონალიზმი და განიხილოს საკითხი კომპანიაში სხვებთან ერთად, ვისზედაც ამ ინფორმაციის არგამჟღავნება გავლენას იქონიებს, იგულისხმება სხვა დირექტორები.

1

← შენიშვნა 10

(ii) გადაფასება

ბულალტერმა უნდა აუხსნას დირექტორს, რატომ არ შეიძლება გადაფასების ნამეტის გამოყენება სამომავლო ზარალისთვის. თუ ბულალტერს ეჭვი ეპარება ამ საკითხში, მას კონსულტაციისთვის შეუძლია მიმართოს პროფესიონალს, როგორცაა ACCA.

1

← შენიშვნა 11

(iii) დირექტორს არ სურს, რომ Newall-ი აისახოს, როგორც გასაყიდად გამიზნული და არც ანარიცხის შექმნა სურს მოსალოდნელი ზარალისთვის. დირექტორს აწუხებს ის ფაქტი, რომ ეს გავლენას იქონიებს შვილობილი საწარმოს გასაყიდ ფასზე და შედეგად თითქმის უდავოა, რომ ვერ შესრულდება პრემიისთვის დადგენილი სამიზნე მაჩვენებელი. დირექტორი ბულალტერს ემუქრება, რომ მან შეიძლება სამუშაო დაკარგოს, თუ ის ამ ანარიცხს ასახავს ანგარიშგებაში.

0

← შენიშვნა 12

ბულალტერმა უნდა იმოქმედოს პროფესიონალურად და არ უნდა მოეცეს სხვისი არასათანადო ზეწოლის ქვეშ. უნდა გაიაროს პროფესიული და იურიდიული კონსულტაცია, თუ ეს აუცილებელია. ასევე შეიძლება მისი გადაწყვეტის საკითხის განხილვაც აუცილებლობის შემთხვევაში.

1

← შენიშვნა 13

(iv) დირექტორს მიაჩნია, რომ მათ აქვთ მაღალი გასაყიდი ფასის დაწესების მოვალეობა, რათა აქციონერებს მაქსიმალური უკუგება მისცენ.

0

← შენიშვნა 14

დირექტორები პასუხს უნდა აგებდნენ აქციონერების წინაშე იმით, რომ წარადგინონ უტყუარი და სამართლიანი ინფორმაცია და არა იმით რომ ფინანსური ანგარიშგებით იმანიპულირონ.

0

← შენიშვნა 15

Farham-ის დირექტორებმა უნდა აცნობონ ამ დირექტორის საქციელის შესახებ, ვინაიდან ეს მიუღებელია.

0

← შენიშვნა 16

**სულ - ნაწილი (ბ):**

**5/7**

პროფესიონალური ქულები

0

← შენიშვნა 17

**სულ:  
9/20**

## მე-2 კითხვა – მე-2 კანდიდატის პასუხი

(ა)

### ქარხნის შენობის „დაჯდომა“

ბასს 37-ის თანახმად ანარიცხი განმარტებულია, როგორც მომავალი ვალდებულება/დანახარჯი, რომელიც მომავალში გაიწევა. ანარიცხი უნდა შეიქმნას საუკეთესო შეფასების მიხედვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასდეს. ანარიცხი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნება, როდესაც შემდეგი კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია: თუ ეს მოსალოდნელია, თუ მისი გაზომვა შესაძლებელია საიმედოდ და არსებობს მიმდინარე ვალდებულება. მიმდინარე ვალდებულება შესაძლოა იყოს იურიდიული ან კონსტრუქციული.

ქულები

შენიშვნები

0

← შენიშვნა 1

ანარიცხი, რომელიც Farham-ს აქვს, არის კაპიტალური რემონტისთვის, რომელიც ჩატარდება 20X9 წელს პრობლემის მოსაგვარებლად. ვალდებულება არსებობს და კლასიფიცირდება როგორც კონსტრუქციული. როგორც Farham-მა განაცხადა, რემონტის ჩატარება მოსალოდნელია, ვინაიდან შენობის დაწვევა გაგრძელდება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მისი შეფასება საიმედოდ.

0

← შენიშვნა 2

Farham-მა უნდა აღიაროს ანარიცხი ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა იგი შეესაბამებოდეს ბასს 37-ს. ანარიცხი, რომელსაც Farham-ი აღიარებს, შეფასებული იქნება სამართლიანი ღირებულებით და საუკეთესო შეფასებით.

0

← შენიშვნა 3

ბასს 36-ში – აქტივების გაუფასურება – აღნიშნულია, რომ გაუფასურების შემოწმება უნდა ტარდებოდეს მაშინ, როდესაც არსებობს რაიმე ინდიკატორი, როგორც გარე, ისე შიდა. შენობის დაჯდომა შიდა ინდიკატორია იმისა, რომ საწარმოო მოწყობილობები მოძველდა ან ნაწილობრივ დაზიანებულია. კომპანიას მოეთხოვება გაუფასურების ტესტის ჩატარება, რათა განსაზღვროს, სად არის მოწყობილობა გაუფასურებული.

1

← შენიშვნა 4

ბასს 16 – ძირითადი საშუალებები – კომპანიას აქტივების გადაფასების მოდელის გამოყენების უფლებას აძლევს. აქტივს, რომელიც გადაფასებულია, შეუძლია მისი ღირებულების შემცირება ნამეტი თანხის ოდენობით. თუმცა, გადაფასების არცერთი ნაშთი არ განეკუთვნება საწარმოო მოწყობილობებს. ამიტომ გადაფასების ნამეტი არ უნდა იყოს გამოყენებული ქარხნის ზარალისთვის.

1

← შენიშვნა 5

**Newall-ის გაყიდვა**

ფასს-ების შესაბამისად, კლასიფიცირება გასაყიდად გამიზნულად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს სურს ამ აქტივის გაყიდვა, ნაცვლად იმისა, რომ ბიზნესში გამოიყენოს, იგი აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს, რათა შესაძლებელი იყოს მისი კლასიფიცირება როგორც გასაყიდად გამიზნული. დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი კრიტერიუმები:

- უნდა მოიძებნოს მყიდველი
- აქტივი გასაყიდად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაუყოვნებლივ
- მოსალოდნელი უნდა იყოს ეკონომიკური სარგებელი
- მისი გაყიდვა მოსალოდნელი უნდა იყოს ერთი წლის (1 წელი) განმავლობაში.

0

← შენიშვნა 6

Farham გეგმავს შვილობილი საწარმოს Newall-ის 80% წილის გაყიდვას. ეს წინადადება დაამტკიცა საბჭომ და გამოაქვეყნა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში. ბულალტერს სურს, Newall-ი ანგარიშგებაში ასახოს, როგორც გასაყიდად გამიზნული.

0

← შენიშვნა 7

Farham ეძებს Newall-ის მყიდველს, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ Oldcastle შეიძენს დამატებით 80% წილს, რადგან მათ უკვე ეკუთვნით 20% წილი. Farham აცხადებს, რომ გაყიდვა ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივ, ვინაიდან გეგმა დაამტკიცებულია საბჭოს მიერ. Farham-ის გაყიდვა მოსალოდნელია, ვინაიდან მაღალია ამის მოხდენის ალბათობა. Farham-ის გაყიდვა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში, ვინაიდან, როგორც ვარაუდობენ, გაყიდვა დასრულდება 20X8 წლის დეკემბრისთვის, ხოლო გეგმა წარმოიშვა 20X8 წლის 30 ივნისს. ამგვარად, ეს იმას ნიშნავს, რომ გაყიდვა მოსალოდნელია 1 წლის განმავლობაში. Farham-მა Newall უნდა აღიაროს, როგორც გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივი, ვინაიდან ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია ფასს 5-ის შესაბამისად.

2

← შენიშვნა 8

უნდა შეიქმნას ანარიცხი სავაჭრო ზარალისთვის, რადგან ვალდებულება არსებობს და ბასს 37-ის შესაბამისად.

0

← შენიშვნა 9

Farham-მა ანარიცხი უნდა შექმნას გაყიდვასთან დაკავშირებული იურიდიული დანახარჯებისთვის. ამიტომ ამ ოპერაციის სწორი აღრიცხვა იქნება:

- დებეტი ანარიცხი \$2მლნ
- კრედიტი ძირითადი საშუალებები \$2მლნ

1

← შენიშვნა 10

Newall-ის თანამშრომლების შემცირების დანახარჯებისთვის არ უნდა შეიქმნას ანარიცხი, ვინაიდან არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თანამშრომლები დაკარგავენ ან შეინარჩუნებენ თავიანთ სამუშაოს. ამგვარად, არ უნდა შეიქმნას ანარიცხი, ვინაიდან არ არსებობს საიმედო ვალდებულება.

0

← შენიშვნა 11

**(ბ)**

Newall-ის გაყიდვის შემთხვევაში, მთავარი აღმასრულებელი დირექტორი შეშფოთებულია იმით, რომ არ იცის, რა გავლენას იქონიებს ეს გასაყიდ ფასზე და თითქმის უდავოდ ეს იმას ნიშნავს, რომ პრემიების სამიზნე მაჩვენებლები ვერ მიიღწევა. აქ არსებობს ანგარების საფრთხე – ვინაიდან მთავარი აღმასრულებელი პირი პრემიის გამო არ შექმნის ანარიცხს მოსალოდნელი ზარალისთვის. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია დირექტორთა საბჭოს ვალდებულება, წარადგინოს უტყუარი და სამართლიანი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომხმარებლებს დაეხმარება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

2

← შენიშვნა 12

გარდა ამისა, ბუღალტერმა ასევე იგულისხმა, რომ შეიძლება სამუშაო დაკარგოს, თუ ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთ ანარიცხს შეიტანს. ბუღალტერმა უნდა აუხსნას მთავარ აღმასრულებელ დირექტორს, როგორ აკმაყოფილებს ანარიცხი კრიტერიუმებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. თუ ის მაინც უარს იტყვის, რომ ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ფასს-ების შესაბამისად, ბუღალტერმა ამის შესახებ უნდა გაესაუბროს კიდევ ვინმე სხვას, მაგალითად რომელიმე დირექტორს ან მთავარ ხელმძღვანელ პირს.

2

← შენიშვნა 13

შესაძლოა, რომ ბუღალტერმა, რომელიც მთავარი აღმასრულებელი დირექტორის ბეწოლას განიცდის, არაეთიკურად იმოქმედოს. ამგვარად, ბუღალტერს უფლება აქვს, გამოიყენოს ACCA-ის ეთიკის კოდექსი და გაიაროს იურიდიული კონსულტაცია.

1

← შენიშვნა 14

Farham-მა უნდა გადახედოს პრემიების სქემას და შეცვალოს, შედარებით უფრო ხანგრძლივ შედეგებზე დაყრდნობით.

1

← შენიშვნა 15

**სულ - ნაწილი (ბ):  
6/7**

პროფესიონალური ქულები

2

← შენიშვნა 16

**სულ:  
14/20**

## 1-ელი კითხვა (2018 წლის სექტემბრის გამოცდა)

### ზოგადი ინფორმაცია

Banana არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიების ჯგუფის მშობელი კომპანია, რომლის საანგარიშგებო თარიღია 20X7 წლის 30 ივნისი. მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში Banana-მ განახორციელა ინვესტიციების შესყიდვისა და გასხვისების რამდენიმე ოპერაცია და ღირებულებებს ესაჭიროებათ რჩევა ამ შესყიდვისა და გასხვისების ოპერაციების სწორი სა-ალრიცხვო მიდგომის შესახებ.

### Grape-ის შეძენა

20X7 წლის 1 იანვარს Banana-მ შეიძინა Grape-ი კაპიტალის 80% წილი. შემდეგ ცხრილში მოცემულია მონაცემები Grape-ის საკუთარი კაპიტალის შესახებ შეძენის თარიღისთვის.

	\$მლნ
საკუთარი კაპიტალის აქციები (თითო \$1-იანი)	20
გაუნაწილებელი მოგება	42
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	<u>8</u>
სულ	<u>70</u>

შესყიდვის კომპენსაცია მოიცავდა Banana-ს 10 მლნ აქციას. თითო აქციის ნომინალური ღირებულება იყო \$1, ხოლო საბაზრო ფასი – \$6.80. გარდა ამისა, 20X9 წლის 1 იანვარს უნდა გადაეხადათ \$18 მლნ ფულადი სახსრები, თუ Grape-ის დაბეგვრის შემდგომი წმინდა მოგება 5%-ით გაიზრდებოდა თითოეულ წელს შეძენის შემდგომი ორი წლის განმავლობაში. 20X7 წლის 1 იანვრისთვის მთლიანი პირობითი კომპენსაციის დღევანდელი ღირებულება შეადგენდა \$16 მლნ-ს. ვარაუდობდნენ, რომ მოგების საკონტროლო მიზნის მიღწევის ალბათობა 25% იყო. შეძენის თარიღისთვის, Grape-ის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივებისთვის საჭირო ერთადერთი კორექტირება ეხებოდა მიწის ნაკვეთს, რომლის სამართლიანი ღირებულება \$5 მლნ-ით აღემატებოდა მის საბალანსო ღირებულებას. ეს არ იყო გათვალისწინებული Grape-ის \$70 მლნ-ის საკუთარ კაპიტალში 20X7 წლის 1 იანვარს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის გუდვილი არასწორად იყო გამოთვლილი, შემდეგნაირად:

	\$მლნ
კომპენსაცია აქციებით	68
პლუს არამაკონტროლებელი წილი შეძენისას (20% x \$70 მლნ)	14
მინუს წმინდა აქტივები შეძენისას	<u>(70)</u>
გუდვილი შეძენისას	<u>12</u>

ფინანსურმა ღირებულებამ არ გაითვალისწინა ფულადი სახსრებით გადასახდელი პირობითი კომპენსაცია, რადგან მოსალოდნელი არ იყო მისი გადახდა. გარდა ამისა, მან არამაკონტროლებელი წილი შეაფასა წმინდა აქტივების პროპორციული მეთოდის გამოყენებით, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის გამოქვეყნებული პოლიტიკა არამაკონტროლებელი წილის შეფასებას ითვალისწინებს სამართლიანი ღირებულებით. Grape-ის აქციის ფასი შეძენისას იყო \$4.25 და ეს უნდა გამოიყენონ არამაკონტროლებელი წილის შესაფასებლად.

### Strawberry-ის შეძენა და შემდგომში გასხვისება

რამდენიმე წლის წინ Banana-მ \$18 მლნ-ად შეიძინა Strawberry-ის კაპიტალის 40% წილი, როდესაც მისი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება იყო \$44 მლნ. შეძენის შემდეგ Banana-ს უფლება ჰქონდა, დაენიშნა Strawberry-ის საბჭოში ხუთი ღირებულებიდან ერთ-ერთი. Banana-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიცია ყოველთვის აისახებოდა წილობრივი მეთოდით. 20X6 წლის 1 ოქტომბერს Banana-მ \$19 მლნ-ად გაყიდა თავისი 40%-იანი წილის 75%, როდესაც Strawberry-ის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების



სამართლიანი ღირებულება შეადგენდა \$50 მლნ-ს. იმ თარიღისთვის Banana-მ დაკარგა საბჭოში ერთი დირექტორის დანიშვნის უფლება. დარჩენილი 10% წილის სამართლიანი ღირებულება წილის გაყიდვის თარიღისთვის იყო \$4.5 მლნ, მაგრამ 20X7 წლის 30 ივნისისთვის მხოლოდ \$4 მლნ-ს შეადგენდა. Banana-მ რეზერვებში ასახა \$14 მლნ-ის ოდენობის ბარალი, რომელიც გამოითვალეს, როგორც სხვაობა \$18 მლნ გადახდილ ფასსა და საანგარიშებო თარიღისთვის გამოთვლილ \$4 მლნ სამართლიან ღირებულებას შორის. Banana-მ განაცხადა, რომ ისინი არ აპირებენ Strawberry-ის დარჩენილი აქციების გაყიდვას და სურთ დარჩენილი 10% -იანი წილის კლასიფიცირება ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტების“ შესაბამისად, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

**Melon-ის შეძენა**

20X7 წლის 30 ივნისს Banana-მ შეიძინა Melon-ის ყველა აქცია, კომპანიის, რომელიც საქმიანობს ბიოტექნოლოგიების სექტორში. Melon-ი სულ ახლახანს ჩამოყალიბდა და მისი ერთადერთი აქტივი კვლევითი საქმიანობის ლიცენზია იყო.

Melon-ს არ ჰყავს თანამშრომლები, რადგან კვლევითი საქმიანობა აუთსორსინგით გადასცა სხვა კომპანიებს. მისი საქმიანობა ჯერ კიდევ ძალიან ადრეულ ეტაპზეა და გაურკვეველია, რაიმე საბოლოო პროდუქტი მოჰყვება თუ არა ამ საქმიანობას. Melon-ს მმართველი კომპანია უზრუნველყოფს პერსონალით საზედამხედველო საქმიანობისა და ადმინისტრაციული ფუნქციების შესასრულებლად. Banana-ს მიაჩნია, რომ Melon-ი არ წარმოადგენს საწარმოს ფასს 3-ის „საწარმოთა გაერთიანება“ განმარტების მიხედვით, რადგან მას არ ჰყავს თანამშრომლები და არც არანაირ საკუთარ პროცესს არ ახორციელებს. Banana აპირებს საკუთარი პერსონალის დაქირავებას Melon-ის ფუნქციონირებისთვის და აღარ გააგრძელებს მმართველი კომპანიის მომსახურებით სარგებლობას. აქედან გამომდინარე, Banana-ს დირექტორებს მიაჩნიათ, რომ Melon-ი უნდა განიხილებოდეს, როგორც აქტივის შეძენა.

**ობლიგაციების შეძენა**

20X5 წლის 1 ივლისს Banana-მ \$10 მლნ-ად შეიძინა 5%-იანი ობლიგაციები ნომინალური ღირებულებით, რომლის პროცენტი გადასახდელია ყოველი წლის 30 ივნისს. ობლიგაციები დასაფარია მნიშვნელოვანი პრემიით ისე, რომ ეფექტურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინოს 7%. Banana აპირებდა, რომ ობლიგაციები შეენარჩუნებინა ობლიგაციებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და შეეფასებინა ისინი ამორტიზებული ღირებულებით.

20X6 წლის 1 ივლისს Banana-მ ობლიგაციები მიჰყიდა მესამე მხარეს \$8 მლნ-ად. ამ თარიღისთვის ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება იყო \$10.5 მლნ. Banana-ს აქვს უფლება, რომ 20X8 წლის 1 ივლისს ობლიგაციები გამოისყიდოს \$8.8 მლნ-ად და, სავარაუდოა, რომ ეს ოფციონი აღსრულდება. მესამე მხარე ვალდებულია, დაუბრუნოს კუპონის პროცენტი Banana-ს და დამატებით გადაუხადოს ფულადი სახსრები იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების ღირებულება გაიზრდება. მეორე მხრივ, Banana აუნაზღაურებს მესამე მხარეს ობლიგაციების გაუფასურების ნებისმიერ თანხას.

**მოგეთხოვებათ:**

- (ა) მოამზადოთ ახსნა-განმარტებითი ბარათი Banana-ს დირექტორებისთვის, სადაც განიხილავთ შემდეგ საკითხებს:
  - (i) როგორ უნდა გამოეთვალათ გუდვილი Grape-ის შეძენისას და აჩვენებთ საბუღალტრო გატარებას, რომელიც საჭიროა ფინანსური დირექტორის შეცდომის გამოსასწორებლად; (8 ქულა)
  - (ii) წილობრივი მეთოდით აღრიცხვა რატომ იყო სწორი მიდგომა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში Strawberry-ის სახვისთვის მისი გასხვისების თარიღამდე და აჩვენებთ Strawberry-ში ფლობილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას ზუსტად მის გასხვისებამდე; (4 ქულა)
  - (iii) როგორ უნდა აისახოს Strawberry-ის გასხვისების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ბარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და ასევე Strawberry-ში ფლობილი ინვესტიცია მისი ნაწილის გასხვისების შემდეგ. (4 ქულა)

**შენიშვნა:** ნებისმიერი განგარიშება შეიძლება ნაჩვენები იყოს ახსნა-განმარტებითი ბარათის მთავარ ნაწილში ან მის დანართში.

(ბ)

**(7 ქულა)**

- (გ) განიხილოთ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები ობლიგაციების გაყიდვის მიმართ, მათ შორის, წარმოადგინოთ გამოთვლები, რათა აჩვენოთ გავლენა 20X7 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**(7 ქულა)**

**(სულ 30 ქულა)**

## მე-2 კითხვა (2018 წლის სექტემბრის გამოცდა)

### ზოგადი ინფორმაცია

კომპანია Farham -ი აწარმოებს საყოფაცხოვრებო ტექნიკას, როგორცაა სარეცხი მანქანები, სარეცხის საშრობი და ჭურჭლის სარეცხი მანქანები. ამ დარგში ძალიან მაღალია კონკურენცია ბაზარზე დიდი მოცულობის პროდუქციის არსებობის გამო. აქედან გამომდინარე, ბრენდის ლოიალობა ამ დარგის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თავისებურებაა. Farham-ი იყენებს მოგებასთან დაკავშირებულ პრემიების სქემას თავისი მენეჯერებისთვის, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, მაგრამ უკანასკნელი პერიოდების შედეგები არადაამაკმაყოფილებელი იყო და იშვიათად ხდებოდა პრემიების სქემით გათვალისწინებული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა. ამის გამო, კომპანიამ განიზრახა რესტრუქტურირება და აპირებს შვილობილ საწარმო Newall-ში კუთვნილი 80% წილის გაყიდვას, რომელიც მნიშვნელოვანი ოდენობის ბარალს განიცდიდა. მიმდინარე წელი მთავრდება 20X8 წლის 28 ივნისს.

### ქარხნის შენობის დაჯდომა/დანევა

Farham-ს აქვს საწარმოო ქვედანაყოფი/ქარხანა, რომლის საძირკველმა და შენობამ 20X8 იანვრის შემდეგ დაჯდომა/დანევა დაიწყო. მოსალოდნელია, რომ Farham-ს მოუწევს კაპიტალური რემონტის ჩატარება 20X9 წლის განმავლობაში ამ პრობლემის მოსაგვარებლად. Farham-ს აქვს სადაზღვევო პოლისი, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დაზღვევა აანაზღაურებს Farham-ის საძირკვლისა და შენობის დაჯდომას. მთავარი აღმასრულებელი დირექტორი უარს ამბობს ამ პრობლემის გამჟღავნებაზე 20X8 წლის 30 ივნისისთვის, ვინაიდან არანირი სარემონტო მომსახურების დანახარჯები ჯერ არ არის განეული, თუმცა მან იცის, რომ ეს უწინააღმდეგეა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. დირექტორს არ მიაჩნია, რომ ქარხნის შენობის დაჯდომა გაუფასურების ინდიკატორია. ის ამტკიცებს, რომ არანირი ანარიცხის შექმნა არ არის საჭირო ქარხნის სარემონტო სამუშაოებისთვის, ვინაიდან არ არსებობს ქარხნის გარემონტების არც იურიდიული და არც კონსტრუქციული ვალდებულება.

Farham-ს აქვს ძირითადი საშუალებების გადაფასების პოლიტიკა და 20X8 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებობს \$10 მლნ-ის ოდენობის გადაფასების ნამეტის ნაშთი – ამ ნაშთის არცერთი ნაწილი არ არის დაკავშირებული ქარხანასთან, მაგრამ დირექტორს მიაჩნია, რომ ამ ნამეტის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი სამომავლო ბარალისთვის, რომელიც წარმოიქმნება ქარხნის შენობის დაწევის შედეგად.

**(5 ქულა)**

## Newall-ის გაყიდვა

20X8 წლის 30 ივნის Farham-ს ჰქონდა გეგმა, რომ უნდა გაეყიდა თავისი 80% წილი შვილობილ საწარმო Newall-ში. ეს გეგმა დაამტკიცა დირექტორთა საბჭომ და ინფორმაცია გავიდა საინფორმაციო საშუალებებში. მოსალოდნელია, რომ საკუთარი კაპიტალის ამ 80% წილს შეიძენს კომპანია Oldcastle, რომელსაც ამჟამად ეკუთვნის Newall -ის დანარჩენი 20% წილი. ვარაუდობენ, რომ გაყიდვის პროცედურა დასრულდება 20X8 წლის დეკემბერში და Newall -ს მნიშვნელოვანი სავაჭრო ზარალი ექნება გაყიდვის პროცედურის დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში. Farham-ის ბუღალტერს სურს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში Newall ასახოს, როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივი და შექმნას რესტრუქტურისაციის ანარიცხი, რათა მასში გაითვალისწინოს შვილობილი საწარმოს გაყიდვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანახარჯები და მომავალი სავაჭრო ზარალი. დირექტორს არ სურს, რომ Newall ფინანსურ ანგარიშგებაში აისახოს, როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივი და არც მოსალოდნელი ზარალისთვის ანარიცხის შექმნა არ სურს. დირექტორს აინტერესებს, როგორ შეიძლება ამან გავლენა იქონიოს გასაყიდ ფასზე და თითქმის უდავოდ ეს სიტუაცია იმას ნიშნავს, რომ პრემიისთვის დადგენილი სამიზნე მაჩვენებლები ვერ მიიღწევა. დირექტორს მიაჩნდა, რომ ისინი ვალდებულები არიან, უზრუნველყონ მაღალი გასაყიდი ფასი, რათა Farham-ის აქციონერებს მაქსიმალური უკუგება მოუტანონ. გარდა ამისა, მან ბუღალტერს მიანიშნა, რომ შეიძლება დაკარგოს სამუშაო, თუ ფინანსურ ანგარიშგებაში ამგვარ ანარიცხს ასახავს. შვილობილი საწარმოს გაყიდვასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანახარჯები ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში:

სამომავლო სავაჭრო ზარალი	<b>\$30 მლნ</b>
გაყიდვასთან დაკავშირებული სხვადასხვა იურიდიული დანახარჯი	<b>\$2 მლნ</b>
Newall -ის თანამშრომლების შემცირებასთან დაკავშირებული დანახარჯები	<b>\$5 მლნ</b>
კუთვნილი აქტივების გაუფასურების ზარალი	<b>\$8 მლნ</b>

სამომავლო სავაჭრო ზარალის შემადგენლობაში ასახულია \$6 მლნ-ის ოდენობის წინასწარ გადახდილი ჯარიმის თანხა, რომელიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივთან, რომელიც ამჟამად კომპანიამ თავისი მოთხოვნილებებისთვის არასაჭიროდ მიიჩნია.

### (6 ქულა)

- ა) განიხილოთ ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომა, რომელიც Farham-მა უნდა გამოიყენოს თითოეულ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.
- ბ) განიხილოთ სცენარიდან წარმოქმნილი ეთიკური პრობლემები, მათ შორის ნებისმიერი ქმედება, რომელიც უნდა განახორციელოს Farham-მა და მისმა ბუღალტერმა.

### (7 ქულა)

მე-2 კითხვაში პროფესიონალიზმისთვის განკუთვნილი ქულები მოგენიჭებათ განხილვის ხარისხისთვის.

### (2 ქულა)

### (სულ 20 ქულა)

## საჯარო სექტორის ფინანსების მაღალი რანგის პროფესიონალები პანდემიისგან ნასწავლი ბაკვითილების ბათვალისწინებას ცდილობენ



ახალი უნარების მიღებასთან ერთად, აუცილებელია პასუხისმგებლობა, ადაპტირების უნარი და მოქნილობა.

საჯარო სექტორის ფინანსური ლიდერების მიერ COVID-19 პანდემიის მართვის პროცესის რეალიები გამოკვლეულ იქნა ACCA-ს და CA ANZ-ის (ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სერტიფიცირებული ბუღალტრები) ახალ ერთობლივ ანგარიშში.

წარსულში გამართულ სხვადასხვა გლობალურ მრგვალ მაგიდებზე დამსწრეებმა გამოავლინეს სამი ძირითადი სფერო, რომელიც, მომავალ წლებში საჯარო სექ-

ტორს, სავარაუდოდ, სირთულეს შეუქმნის: ფინანსური პროფესიონალების დაქირავება და შენარჩუნება, საჯარო სერვისების ბიუჯეტის შემცირებისთვის მომზადება და საზოგადოების ფართო ცვლილებებთან ადაპტაცია.

წარსულის გააზრებისას ვხედავთ, როგორ ცდილობდნენ ბუღალტრები, დახმარებოდნენ საკუთარ ორგანიზაციებს სახელმწიფო მიზნების ხელშეწყობაში, რაც ორიენტირებული იყო სიცოცხლის გადარჩენასა და კეთილდღეობის დასაცავად. გაზრდილი ხარჯები, გადანყვებილების მიღების გამართივებული პროცესები და ფინანსური ფუნქციის უკეთესი ინტეგრაცია ასახავდა ფინანსური ლიდერების და მათი გუნდების მუშაობის შედეგებს ამ პერიოდის განმავლობაში.

პანდემიის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ACCA და CA ANZ აცხადებენ, რომ არსებობს ექვსი ძირითადი გაკვეთილი, რომელზეც საჯარო სექტორის ფინანსური ლიდერები უნდა ფოკუსირდნენ. მათ სჭირდებათ სისტემების გარდაქმნა ორგანიზაციული მდგრადობის შესაქმნელად და მონაცემების უკეთ გამოყენების მიზნით. მათ უნდა გადახედონ ლიდერობის მიდგომებს, გააძლიერონ პერსონალი და უზრუნველყონ თვალსაჩინო ლიდერობა. ამასთანავე, მათ უნდა უზრუნველყონ თავიანთი ორგანიზაციების ადაპტირება მუშაობის ახალ მეთოდებთან, რათა ფოკუსირება მოახდინონ მიზანზე, შემდეგ კი შეძლონ ბარიერების იდენტიფიცირება და გადალახვა.

ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის შედეგად ასევე გამოვლინდა ის უნარ-ჩვევები, რომლის განვითარებაც საჯარო სექტორის ფინანსური ლიდერებისთვის საჭირო იქნება: ადაპტირება, ბიზნესის გრძნობა, კომუნიკაცია და მიზანდასახულობა (ABCD).

**ჰელენ ბრენდი**, ACCA-ს აღმასრულებელი დირექტორი ამბობს: „*ძალიან გამამხნევებელია საჯარო სექტორის ფინანსური ლიდერების მოგონებების წაკითხვა, რომლებიც ასე ერთგულნი დარჩნენ თავიანთი ორგანიზაციების, მომხმარებლებისა და კლიენტების მიმართ პანდემიის ტურბულენტობის დროს. ისინი კარგად არიან მომზადებული მომავლისთვის, მაგრამ, ამავე დროს, არ არიან თვითკმაყოფილნი და ხედავენ მუდმივი სწავლის აუცილებლობას.*“

**აინსლი ვან ონსელენი**, CA ANZ-ის აღმასრულებელი დირექტორი დასძენს: „*ჩვენი ანგარიშის ABCD ჩარჩოს შეუძლია დაეხმაროს ფინანსურ ლიდერებს საჯარო სექტორში, რათა გააფართოონ*



**ჰელენ ბრენდი და აინსლი ვან ონსელენი**

*თავიანთი ჰორიზონტები, ფინანსური პროფესიონალის ტრადიციული ამოცანებიდან უფრო ფართო ორგანიზაციულ პერსპექტივამდე. ეს სიგანე და სიღრმე დაეხმარა ლიდერებს პანდემიის დროს და ასევე მოამზადებს მათ მომავალი გამოწვევებისთვის.*“

**ჰელენი და აინსლი ერთობლივად ასკვნიან:** „*პროფესიონალ ბუღალტერებს აქვთ უფრო ფართო უნარ-ჩვევები ტექნიკური ცოდნის მიღმა და შემუშავებული აქვთ ძლიერი სტრატეგიული რჩევები იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებსაც ემსახურებიან; ეს უნარები შეიძლება განვითარდეს და დაიხვეწოს გამოცდილებისა და წარსულზე დასკვნების გამოტანის მეშვეობით.*

*პანდემიის უზარმაზარი გამოცდის გათვალისწინებით, მშვენიერია ფინანსთა ლიდერებისა და მათი გუნდების თანხმობის მოსმენა, რომ მათ შეძლეს თავიანთი ღირებულების დემონსტრირება ორგანიზაციებისა და საზოგადოების წინაშე, რომლებსაც ემსახურებიან. ჩვენც ვეთანხმებით ამას.*“

წყარო: [accaglobal.com](http://accaglobal.com)

# ორგანიზაციაში შიდა კონტროლის წინაშე გამოწვევები დგას

შიდა კონტროლის დანიშნულებასა და ეფექტურობას, ისე, როგორც არასდროს, უამრავი გარე ბენოლა გამოცდის, – ნათქვამია ACCA-ს შიდა აუდიტის ფონდისა და IMA-ის (მართვის ბუღალტერთა ინსტიტუტის) ახალ ანგარიშში.

შიდა კონტროლისა და ერთეულების ტრანსფორმაციის პროცესში, სამმა პროფესიონალურმა ორგანომ გააერთიანა ძალები, რათა დაახლოებით, 2000 წევრი გამოეკითხათ, გლობალურად და უკეთ გაეგოთ, რა ელის მომავალში შიდა კონტროლს, ბიზნესის ოპერაციული მენეჯმენტის ძირითად ნაწილს, რომელიც აღწევს მნიშვნელოვან მიზნებს, აუტომატებს პერფორმანსს და იმყარებს რეპუტაციას განსაკუთრებით ისეთ გაურკვეველ დროს, როდესაც ბიზნესსუბიექტები აგრძელებენ ტრანსფორმაციას მონაცემებსა და ტექნოლოგიებზე დაყრდნობით.

დასკვნების თანახმად, პანდემიის განგრძობითი ეფექტი, ტურბულენტური ეკონომიკური კლიმატი, რეგულაციები, მონაცემები და ტექნოლოგიები ყველა ორგანიზაციას უქმნის უნიკალურ გამოწვევებს, შიდა კონტროლის საქმიანობისას.

გამოკითხულთა 50%-მა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ნაკლებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა; 41%-მა კი განაცხადა, რომ ტექნოლოგიურ მიღწევებს მაკომპრომიტირებელი ეფექტი აქვს არსებულ შიდა კონტროლთან მიმართებით. თითქმის მესამედმა (32%) განაცხადა, რომ შიდა კონტროლში აღმასრულებელი კომპონენტის ნაკლებობა ასევე აისახება შიდა კონტროლის მენეჯმენტზე.

რესპონდენტებს ასევე თხოვეს, დაესახელებინათ კომპანიაში შიდა კონტროლის ძირითადი მიზანი. 88%-მა განაცხადა, რომ ეს არის რისკის შემცირება, 84%-მა დაასახელა თაღლითობის პრევენცია, 77%-მა კი - აქტივების დაცვა.

გამოკითხვა ასევე აჩვენებს, რომ რესპონდენტთა უმეტესობა - 80% - ამბობს, რომ ეთანხმება ან კატეგორიულად ეთანხმება, რომ შიდა კონტროლის ჩარჩო უნდა გამოიყენოს არაფინანსური და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) ანგარიშგებისას.



ACCA-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, **ჰელენ ბრენდმა** განაცხადა:

„შიდა კონტროლი წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსების და შიდა აუდიტის პროფესიონალების საქმიანობის ძირითად ნაწილს, რომელიც ეხმარება მათ, უზრუნველყონ ბიზნესერთეულის მუშაობა ეფექტიანად და ეფექტურად. თუმცა ბიზნესმოდელი ბევრისთვის იცვლება სხვადასხვა და ურთიერთდაკავშირებული გარე ბენოლის გამო. ამ მუდმივი ტურბულენტობის გათვალისწინებით აუცილებელია, რომ ორგანიზაციებმა დაიქირაონ და შეინარჩუნონ გამოცდილი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ შიდა კონტროლის მოქნილობა და მომავალში ბიზნესის ტრანსფორმაციისა და მრდისთვის მზადყოფნა“.



**ჯეფ ტომსონი**, IMA-ს პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი, დასძენს: „*როგორც ნათქვამია ჩვენი ანგარიშის წინასიტყვაობაში, შიდა კონტროლი სცილდება ნორმატიული შესაბამისობის მოთხოვნებს. ის ეხმარება კომპანიებს, ჩამოაყალიბონ ნდობა და პოზიტიური რეპუტაცია სტრატეგიული ბიზნესშედეგების მიღწევაში. ეს ყველაფერი სულ უფრო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახლა და მომავალში, რადგან ჩვენ ვერ ვხედავთ ტურბულენტობის ან ცვალებადობის შემცირების ნიშნებს.*“



**ენტონი ჯ. პუგლიზი**, IIA პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, აცხადებს: „*შიდა კონტროლი მოითხოვს მენეჯმენტის მიერ სათანადო პრიორიტეტების განსაზღვრას და ადამიანების, პროცესების, ტექნოლოგიებისა და მონაცემების ერთობლიობას. ეს ყველაფერი ემყარება ნდობისა და ეთიკისადმი ურყევი ერთგულების ვალდებულებას. აქეთ მიმავალი გზა გადის პროფესიული კვალიფიკაციის*

*ზრდასა და მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, რის უზრუნველყოფაზეც პასუხისმგებლობას ჩვენი სამი ორგანიზაცია ერთობლივად იღებს.*“

ანგარიშში ასევე მოცემულია მრავალი რეკომენდაცია და ქმედება შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად, რომლებიც დაყოფილია ცვლილებების განმაპირობებელი ძირითადი ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორცაა - სტრატეგია, ტრანსფორმაცია, ხალხი, პროცესები, ტექნოლოგია და მონაცემები.



**კლაივ ვებბი**, მოხსენების თანაავტორი და ACCA-ს ბიზნეს იდეების ხელმძღვანელი, ასკვნის: „*ჩვენი რეკომენდაციები დაეხმარება ბუღალტერებს, ფინანსების პროფესიონალებს და შიდა აუდიტორებს, გაიკვლიონ გზა მომავლისკენ, რადგან ორგანიზაციები მუდმივად ვითარდებიან და იცვლებიან.*

*ჩვენი კოლექტიური პროფესიების როლი ამ ცვლილებაში არსებითია და ჩვენ გვჯერა, რომ მათი უნარები, ცოდნა და ერთგულება უზრუნველყოფს შიდა კონტროლის პროცესების სამომავლო ძლიერებასა და მთლიანობას სულ უფრო რთულ სამყაროში.*“

წყარო: [accaglobal.com](http://accaglobal.com)

ვებგვერდი, 14/06/2022  
სარეგისტრაციო კოდი  
200090000.22.033.017593

საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №186  
2022 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 401 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ბ) 18.2 სტრიქონში აისახება არარეზიდენტის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანი ან აქციის/წილის (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული აქციისა/წილისა) შესაძენად განხორციელებული გადახდა.

შენიშვნა: ამ ინსტრუქციის 401 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის მე-2 მაგალითის შენიშვნით გათვალისწინებულ პირთაგან, მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად განიხილება პირი, რომლის მიერ, მის კაპიტალში შენატანის განხორციელების ან/და მისი აქციის/წილის შეძენის წლის წინა კალენდარული წლის განმავლობაში, მიღებული მოგების გადასახადით გათავისუფლებული შემოსავალი ამავე პერიოდში მიღებული შემოსავლის 30 პროცენტს აღემატება.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი



საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №187  
2022 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 41-ე მუხლის მე-8 პუნქტის:

1. „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) 35-ე სტრიქონში – წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი, რომელიც ექვემდებარება გამოქვითვას, მაგრამ არაუმეტეს წინა 5 (შესაბამის შემთხვევაში – 10) საგადასახადო წლის ზარალისა. ამ სტრიქონში აისახება აგრეთვე, ამხანაგობაში წილის მიხედვით მიღებული წინა წლების ზარალი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით გამოიქვითება ამხანაგობაში მისი წილი დასაბეგრი მოგების ხარჯზე. შესაბამისად, გამოსაქვითი ზარალის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამხანაგობიდან კუთვნილი მოგების ოდენობას, რომელიც ასახულია ამავე დეკლარაციის მე-15 სტრიქონში. ამასთან, პირი, რომელიც სარგებლობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათით, რომელზეც ვრცელდება ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმა, უფლებამოსილია ამ სტრიქონში ასახოს წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი, რომლის ფორმირებაში მონაწილეობას იღებს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი (მოგება);“.

2. „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მაგალითი 1:

„მაგალითი 1:

კომერციული ბანკის მიერ 2021 წლის განმავლობაში მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1 500 000 ლარი, მათ შორის, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი 500 000 ლარია, ხოლო მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი – 1 000 000 ლარი. ამასთან, კომერციულ ბანკს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი მიღებული აქვს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით და ამ ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით.

ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯის ოდენობა შეადგენს 1 300 000 ლარს.

შედეგი:

კომერციული ბანკის მიერ საგადასახადო ორგანოში წარსადგენი/წარდგენილი 2021 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია შეივსება შემდეგი წესით:

დეკლარაციის III ნაწილის:

– მე-15 სტრიქონში მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული 2021 წლის განმავლობაში ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული ერთობლივი შემოსავალი – 1 500 000 ლარი;

– მე-19 სტრიქონში – მე-15 სტრიქონში განსაზღვრული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, გამოქვითვას დაქვემდებარებული ან აღსადგენი ხარჯი (მე-20-29-ე სტრიქონების ჯამი) – 1 300 000 ლარი.

ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, პირს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ შემოსავალზე გაწეული დანახარჯის აღდგენის ვალდებულება არ წარმოიშობა;

- 32-ე სტრიქონში - საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლის გადამეტება გამოქვითვებზე 200 000 ლარი (1 500 000 – 1 300 000);

- 34-ე სტრიქონში - მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული მოგება (შემოსავალი) - 500 000 ლარი;

- 36-ე სტრიქონში - 0.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმის გათვალისწინებით, კომერციული ბანკი უფლებამოსილია 2022 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ორგანოში წარსადგენი მოგების გადასახადის დეკლარაციის III ნაწილის 35-ე სტრიქონში ასახოს 300 000 ლარი (500 000 – 200 000), როგორც წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი.

შენიშვნა:

მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, პირი, რომელიც მოგების გადასახადში სარგებლობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საგადასახადო შეღავათით, რომელზეც არ ვრცელდება ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ნორმა, არ არის უფლებამოსილი მომდევნო წლებში გადაიტანოს 300 000 ლარი, როგორც წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

**ლაშა ხუციშვილი**

ვებგვერდი, 22/06/2022  
 სარეგისტრაციო კოდი  
 200090000.22.033.017597

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
 ბრძანება №195  
 2022 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა  
 მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის  
 თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-11 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლა, გარდა ამ მუხლის 3<sup>1</sup> და 3<sup>2</sup> პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხორციელდება გადასახადის გადამხდელის მიერ ვიდეოზარით მიმართვის ან №I-07 დანართის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, ვიდეოზარით მიმართვის ნაცვლად პირს მოსთხოვოს №I-07 დანართის შესაბამისი განცხადების წარდგენა.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> და 3<sup>2</sup> პუნქტები:  
 „3<sup>1</sup>. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული სუბიექტებისთვის შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის აქტივაცია ხორციელდება ავტომატურად საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისთანავე, რა დროსაც პირს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული პორტალის შექმნისთვის დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ეგზავნება ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოსაყენებელი სახელწოდებისა და პაროლის შესახებ ინფორმაცია.

3<sup>2</sup>. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის (გარდა ფიზიკური პირისა) შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის აქტივაცია ხორციელდება ავტომატურად საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისთანავე, რა დროსაც პირს „ელექტრონული ფორმით კომუნიკაციის შესახებ“ განცხადებაში დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ეგზავნება ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოსაყენებელი სახელწოდებისა და პაროლის შესახებ ინფორმაცია.“;

გ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. დანართი № I-07 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

დანართი № I-07

---

საგადასახადო ორგანოს დასახელება

---

გადასახადის გადამხდელის დასახელება

---

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

---

გადასახადის გადამხდელის მისამართი

**განცხადება  
ელექტრონული ფორმით კომუნიკაციის შესახებ**

გთხოვთ, გადამიყვანოთ კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმაზე  
 საგადასახადო ორგანოსთან საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერია .....  
 ..... და ელექტრონული ფოსტის მისამართია .....

(ხელმოწერა)

ვებგვერდი, 23/06/2022  
სარეგისტრაციო კოდი  
200000000.05.001.020579

**საქართველოს კანონი**

**საქართველოს საგადასახადო კოდექსში  
ცვლილებების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) მარტოხელა მშობლის;“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,  
9 ივნისი 2022 წ.  
N1652-VIIIმს-Xმპ

ვებგვერდი, 20/06/2022  
სარეგისტრაციო კოდი  
210020010.05.001.020577

**საქართველოს კანონი**

**„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 14.06.1998, გვ. 6) 17<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უფლება აქვს, შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და მისი იერსახის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან მოსაკრებლის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე დადოს შეთანხმება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გაზრდისას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის განაწილვადების თაობაზე, თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გაზრდისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაცემულია 2017 წლის 1 ივნისის ჩათვლით. აღნიშნული განცხადებით მოსაკრებლის გადამხდელი კისრულობს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ განცხადების უფლებამოსილი ორგანოსთვის მოსაკრებლის გადამხდელის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის 1 იანვრისა, წარდგენისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებას.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

**სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,  
7 ივნისი 2022 წ.  
N1617-VIIIმს-Xმპ

## საქართველოს კანონი

### საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 115<sup>1</sup> ნაწილი:

„115<sup>1</sup>. ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირება ამ კოდექსით 2022 წელს არის გათვალისწინებული, თავისუფლდება ამ მუხლის 115-ე ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საქმიანობებში გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა. ამ შემთხვევაში საწარმო/ორგანიზაცია არ თავისუფლდება ამ კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელის სახით გადახდისგან და ეს გადასახდელი გადაიხდებიან გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, მიუხედავად ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათისა, არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა.

**შენიშვნა:** ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზედაც, თუ ეს ქონება ამავე ნაწილით განსაზღვრულ რომელიმე საქმიანობაში გამოიყენება.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი  
თბილისი,  
23 ივნისი 2022 წ.  
N1706-VIIIმს-Xმპ

რელაქციური შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა  
ბაზის საგადასახადო კომიტეტმა

## კითხვა:

*საწარმოს დირექტორი დახვდა და გაუმასპინძლდა ჩამოსულ სტუმარებს, რაზედაც რესტორნის ანგარიშ-ფაქტურაც გამონერა მომსახურე რესტორანმა და ფულის გადახდის ქვითარიც. რამდენად არის შესაძლებელი, საგადასახადო მიზნით, წარმომადგენლობით ხარჯად ვაღიაროთ და რა არის ამისათვის საჭირო?*

## პასუხი:

ამისთვის, სულ ცოტა, ორი პირობის შესრულებაა საჭირო:

1. უნდა დასაბუთდეს, რომ ეს ხარჯი უშუალოდ არის დაკავშირებული თქვენს ეკონომიკურ საქმიანობასთან;
2. გაწეული დანახარჯის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო კოდექსის 984-ე მუხლით განსაზღვრულ ოდენობას.

## კითხვა:

*კომპანიამ, ფიზიკური პირისგან, შეიძინა ავტომობილი და გაფორმდა ჩვეულებრივად კომპანიის სახელზე, მაგრამ ფიზიკური პირი, ვისგანაც შევიძინეთ, ვერ გვაძლევს ბედნადებს. არის თუ არა საკმარისი მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი რომ გავაფორმოთ, რაიმე დარღვევა ხომ არ გვექნება ასეთ შემთხვევაში?*

## პასუხი:

არა, ასეთი მოქმედება დარღვევა არ იქნება.

## კითხვა:

*ვართ საქართველოში რეგისტრირებული საერთაშორისო კომპანიის სავაჭრო წარმომადგენლობა – ფილიალის სახით. საქართველოში კლიენტურის მოზიდვის მიზნით Booking.com-ს პირველად ურიცხავთ თანხას რეკლამისათვის, ინვოისის საფუძველზე. გთხოვთ განგვიმარტოთ: რა სახის ვალდებულებები წარმოგვეშვება შემოსავლების სამსახურის მიმართ, განსაკუთრებით გვინტერესებს დღგ-ის კუთხით რა ხდება?*

## პასუხი:

თქვენ წარმოგეშობათ დღგ-ით უკუდაბეგვრის ვალდებულება და ასევე, თუ ჩაითვლება, რომ შემოსავლის წყარო საქართველოშია, შესაძლოა წარმოგეშვათ არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით (10 %) დაბეგვრის ვალდებულება (თუ მიმღები პირი არ არის იმ ქვეყანის რეზიდენტი, რომელთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ან იმ შემთხვევაში, თუ რეზიდენტობის ცნობის წარმოდგენა ვერ მოხდება).

**კითხვა:**

კომპანიის დამფუძნებელმა 2021 წელს შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა და შეიტანა კომპანიის სანესდებო კაპიტალში (25000 ლარი), ხოლო 2022 წელს უნდა ამ სანესდებო კაპიტალის შემცირება - გატანა ფულადი სახით. გვანტერესებს, თუ შესაძლებელია ასეთი ოპერაცია და მანქანის კაპიტალში შეტანისას იბეგრება თუ არა დამფუძნებელი ფიზიკური პირი და რა სახის გადასახადებით?

**პასუხი:**

კაპიტალში შენატანის განხორციელებისას და კაპიტალის შემცირების გზით საწარმოდან თანხის გატანისას (უკვე განხორციელებული შენატანის ფარგლებში) ფიზიკური პირი არ დაიბეგრება, თუმცა, ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს ფიზიკური პირის მიმართ მსუბუქი ავტომობილის რეალიზაციის ექსტვიანი ვადა.

**კითხვა:**

რეგისტრირებული ვარ მცირე მენარმედ. მაინტერესებს, 6000 ლარი საშემოსავლოს შეღავათი ეხება თუ არა იჯარის სახით მიღებულ შემოსავლებს, იჯარა მაქვს ფიზიკურ პირთან და საშემოსავლო უნდა გადავიხადო თუ არა ამ ნაწილში?

**პასუხი:**

დიახ, უნდა გადაიხადოთ. ეს შეღავათი ეხება მხოლოდ დაქირავებულ პირთა ხელფასს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) თქვენ ინდივიდუალურ მენარმედ დარეგისტრირდით და მცირე ბიზნესის სტატუსი მოგენიჭათ იმავე კალენდარული წლის განმავლობაში; ან

ბ) თქვენ მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი 50 000 ლარს არ აჭარბებს (იხ. საგადასახადო კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

**კითხვა:**

მცირე მენარმე წყვეტს საქმიანობას და ნაშთად არსებულ საქონელს (რომლის რეალიზაციაც ვერ განახორციელა) იტოვებს საკუთრებაში. ამ საქონელზე ჩათვლილია დღგ და შესაბამისად ვბეგრავთ დღგ-თი. ასეთი კითხვა გვაქვს: უნდა ვაღიაროთ თუ არა როგორც შემოსავალი და საშემოსავლოს დეკლარაციაში ვაჩვენოთ და დავბეგროთ 1%-ით?

**პასუხი:**

ჩვენი აზრით, 1 %-ით დასაბეგრი შემოსავალი ამ შემთხვევაში არ წარმოიშობა.

**კითხვა:**

როდესაც კომპანიას კერძო ფიზიკური პირისგან ნაქირევეები აქვს კომერციული ფართი, სადაც განთავსებულია სავაჭრო ობიექტი, ამ შემთხვევაში, კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახდს თუ ფიზიკური პირი?

**პასუხი:**

კომპანიას ეკისრება საშემოსავლო გადასახადის დაკავება, თუ შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს არ აქვს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი სტატუსი მაინც:

- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირი;
- ნოტარიუსი;
- კერძო აღმასრულებელი;
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი (შესაბამისი საქმიანობის ნაწილში);
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი (შესაბამისი საქმიანობის ნაწილში);
- ინდივიდუალური მენარმე (იხ. საგადასახადო კოდექსის 154.1-ე მუხლის „დ“ ქვე-პუნქტი).

**კითხვა:**

როდესაც კომპანიის საქმიანობაა ვაჭრობა (დისტრიბუცია) და რეალიზაციის გაზრდის მიზნით, პერიოდულად, თავის მომხმარებლებს უკეთებს X-თანხის უსასყიდლო მიწოდებებს წახალისების მიზნით. ამ შემთხვევაში ეს ოპერაცია როგორ განიხილება:

- ვბეგრავთ დღგ-თი და მოგებით ?
- რადგან ეს ემსახურება მიზანს, რომ გაზარდოს თავისი გაყიდვები დამატებით აღარ იბეგრება ?
- ასევე, თუ კომპანია არამართო საკუთარ საქონელს აძლევს თავის მომხმარებლებს უსასყიდლოდ არამედ, პერიოდულად, სხვადასხვა საჩუქრებსაც უგზავნის, ეს სიტუაციაც რომ განვიხილოთ როგორ დაიბეგრება, ჩავითვლით თუ არა ამ საჩუქრის შესყიდვის დროს დღგ-ს და დავბეგრავ თუ არა მოგების გადასახადით?

**პასუხი:**

ზოგადად უსასყიდლო მიწოდების შემთხვევაში უნდა დასაბუთდეს ამგვარი ოპერაციების კავშირი თქვენს ეკონომიკურ საქმიანობასთან და ასეთ შემთხვევაში მოგების გადასახადს აღარ გადაიხდით. 2020 წლის შუა პერიოდიდან მოგების გადასახადს ასევე არ გადაიხდით (თუნდაც ეს კავშირი ვერ დასაბუთდეს), თუ „მომხმარებელი“ არის რეზიდენტი სამეწარმეო სუბიექტი (გადასულია ე.წ. ესტონურ მოდელზე) და იგი არ არის გათავისუფლებული საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან.



დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისთვის არის რამდენიმე ვარიანტი:

- 2021 წლიდან ამოქმედებული კოდექსის მიხედვით, ზოგადად, საქონლის უსასყიდლო მიწოდებისას დაბეგვრა არ ხდება, თუ აღნიშნულ საქონელზე არ არის მიღებული დღგ-ს ჩათვლა.
- დღგ-ით არ იბეგრება ნიმუშის უსასყიდლო მიწოდება (ზღვარი არ არის დადგენილი, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ გონივრულობის ფარგლებში).
- დღგ-ით არ იბეგრება ფიზიკური პირისთვის მცირე ღირებულების საქონლის (წელიწადში 50 ლარამდე, გარდა სარეკლამო და წარმომადგენლობითი ხარჯისა) გაჩუქება.

### კითხვა:

*ვართ რეზიდენტი კომპანია და უძრავი ქონება (მინა და მასზე განთავსებული საოფისე შენობა) შვეიციაში გერმანიაში, ანუ გავხდით უძრავი ქონების მესაკუთრე. გვინდა გავვერკვეთ: რა გადასახადი ეკუთვნის კომპანიას ამ დროს საქართველოში და რა გადასახებია გერმანიაში?*

### პასუხი:

გერმანიაში მოქმედი გადასახადების შესახებ აჯობებს, თუ მიმართავთ გერმანიაში მოქმედ კონსულტანტს.

რაც შეეხება საქართველოს, ეს ქონება, მართალია, ითვლება საბალანსო ქონებად, მაგრამ მის მიმართ არ ვრცელდება საქართველოს არცერთი საკრებულოს იურისდიქცია და ამდენად, ვერ დადგინდება ქონების გადასახადის განაკვეთი.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებიც.

### კითხვა:

*მენარმე ფიზიკური პირი, რომელიც დღგ-ს გადამხდელია, აქირავებს საკუთრებაში არსებულ ბინას საცხოვრებელი მიზნებისთვის, ფიზიკური პირზე. ეს ოპერაცია გარდა იმისა რომ დაიბეგრება საშემოსავლოს 5% -ით, დღგ-ს კუთხითაც ხომ არ უნევს დაბეგვრა?*

### პასუხი:

მნიშვნელოვანია დაზუსტდეს რას საქმიანობს მენარმე ფიზიკური პირი, რა ოდენობის შემოსავლის მიღება ხდება. გარკვეულ შემთხვევებში ასეთი იჯარის მომსახურება შესაძლოა დაიბეგროს დღგ-ით.

**კითხვა:**

*მოგესალმებით, როდესაც კომპანიას აქვს კორპორატიული რესტორნის ჩეკი და ყველანაირი საბუთი, ეს როგორ იბეგრება და ხდება თუ არა დღგ-ს ჩათვლა? და მეორე: როცა სასაჩუქრე ვაუჩერებს გასცემს კომპანია თანამშრომლებისთვის ეს განიხილება როგორც სარგებელი და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით?*

**პასუხი:**

თუ საუბარია საქმიანი შეხვედრის ხარჯზე, რესტორნის ხარჯი მიეკუთვნება წარმომადგენლობით ხარჯებს, მასზე გადახდილი დღგ-ის ჩათვლა არ ხორციელდება თუმცა აღნიშნული მიწოდება არ იბეგრება დღგ-ით.

თუ თანამშრომელთა კორპორატიულ საღამოზეა საუბარი, შესაძლოა ასეთი ხარჯი დღგ-ით დაიბეგროს.

რაც შეეხება საჩუქარს, თანამშრომლებისთვის ეს არის ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი და შესაბამისად იბეგრება.

**კითხვა:**

*შპს-ს ჰყავს ორი მონილე. აქედან ერთი არის დირექტორი რომელთანაც კანონის მიხედვით, უნდა გაფორმდეს სამომსახურეო ხელშეკრულება სადაც უნდა მიეთითოს ხელფასი. რადგან ახლად შექმნილი შპს-ს მფლობელებს არ უნდათ ჯერჯერობით ხელფასის აღება, ამ შემთხვევაში, შეიძლება დირექტორზე ხელფასი არ გავცეთ?*

**პასუხი:**

დიახ, შეიძლება.

**კითხვა:**

*გამარჯობა, დირექტორს პირად ანგარიშებზე ადევს ყადაღა და აღსრულებაში აქვს საქმე გადაცემული (პირადი), მასზე ხელფასს ვერ გავცემ 2 წელია. ახლა მინდა ერთჯერადად გავცე დივიდენდი და ხომ არ იცით, რა რისკის ქვეშ მოხვდება დირექტორი ან შპს?*

**პასუხი:**

თუ ყადაღა ვრცელდება ფიზიკური პირის მთელ ქონებაზე, მაშინ მის ქვეშ ექცევა მისაღები (ჯერ მიუღებელი) შემოსავლებიც, მ.შ. ხელფასი, დივიდენდი და ა.შ.

# ინფორმაცია გირჟებიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის ივნისში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიური კრონა	ევრო	ფუნტი სტირლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური ზლოტი	რუმინული ლეი	უნგრული ფორინტი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.06.22	1,6598	4,3640	3,2466	3,8120	2,3818	2,7629	3,2117	7,0896	6,5680	0,8230	3,0888	3,1546	1,3137	3,0249
02.06.22	1,6605	4,3658	3,2477	3,8175	2,3688	2,7658	3,2310	7,0702	6,5692	0,8209	3,0990	3,1498	1,3127	3,0307
03.06.22	1,6442	4,3240	3,2163	3,7748	2,3495	2,7395	3,1800	7,0164	6,5097	0,8144	3,0732	3,1332	1,3012	3,0076
04.06.22	1,6312	4,2867	3,1890	3,7315	2,3227	2,7164	3,1561	6,9376	6,4520	0,8070	3,0522	3,0954	1,2916	2,9707
05.06.22	1,6312	4,2867	3,1890	3,7315	2,3227	2,7164	3,1561	6,9376	6,4520	0,8070	3,0522	3,0954	1,2916	2,9707
06.06.22	1,6312	4,2867	3,1890	3,7315	2,3227	2,7164	3,1561	6,9376	6,4520	0,8070	3,0522	3,0954	1,2916	2,9707
07.06.22	1,6246	4,2709	3,1772	3,7175	2,2973	2,7064	3,1480	6,9304	6,4288	0,8178	3,0355	3,0801	1,2851	2,9624
08.06.22	1,6168	4,2505	3,1620	3,7049	2,2765	2,6928	3,1186	6,8989	6,3977	0,8111	3,0118	3,0320	1,2781	2,9604
09.06.22	1,6245	4,2727	3,1785	3,7152	2,2882	2,7065	3,1330	6,9454	6,4271	0,8146	3,0284	3,0313	1,2841	2,9634
10.06.22	1,6274	4,2793	3,1833	3,7219	2,2917	2,7112	3,1316	6,9424	6,4368	0,8064	3,0360	3,0383	1,2892	2,9687
11.06.22	1,6046	4,2188	3,1382	3,6865	2,2793	2,6731	3,0952	6,8184	6,3477	0,7876	2,9828	3,0183	1,2701	2,9622
12.06.22	1,6046	4,2188	3,1382	3,6865	2,2793	2,6731	3,0952	6,8184	6,3477	0,7876	2,9828	3,0183	1,2701	2,9622
13.06.22	1,6046	4,2188	3,1382	3,6865	2,2793	2,6731	3,0952	6,8184	6,3477	0,7876	2,9828	3,0183	1,2701	2,9622
14.06.22	1,5892	4,1774	3,1076	3,6263	2,2407	2,6472	3,0210	6,7059	6,2836	0,7794	2,9326	2,9926	1,2570	2,9687
15.06.22	1,5811	4,1557	3,0923	3,5883	2,2262	2,6335	2,9762	6,6428	6,2540	0,7769	2,9100	2,9822	1,2495	2,9631
16.06.22	1,5776	4,1477	3,0855	3,5609	2,2439	2,6278	2,9615	6,6052	6,2399	0,7735	2,9043	2,9492	1,2478	2,9436
17.06.22	1,5604	4,1030	3,0524	3,5635	2,2197	2,5988	2,9176	6,4894	6,1734	0,7669	2,8531	2,9924	1,2343	2,9358
18.06.22	1,5727	4,1346	3,0757	3,5920	2,2339	2,6199	2,9426	6,5492	6,2172	0,7716	2,8775	3,0321	1,2453	2,9239
19.06.22	1,5727	4,1346	3,0757	3,5920	2,2339	2,6199	2,9426	6,5492	6,2172	0,7716	2,8775	3,0321	1,2453	2,9239
20.06.22	1,5727	4,1346	3,0757	3,5920	2,2339	2,6199	2,9426	6,5492	6,2172	0,7716	2,8775	3,0321	1,2453	2,9239
21.06.22	1,5805	4,1553	3,0913	3,5962	2,2481	2,6317	2,9687	6,6302	6,2512	0,7754	2,9015	3,0486	1,2496	2,9340
22.06.22	1,5812	4,1570	3,0925	3,6002	2,2361	2,6332	2,9869	6,6570	6,2518	0,7801	2,9083	3,0329	1,2524	2,9277
23.06.22	1,5775	4,1479	3,0857	3,5954	2,2311	2,6274	2,9404	6,6085	6,2380	0,7810	2,8921	3,0377	1,2502	2,9326
24.06.22	1,5769	4,1455	3,0840	3,5819	2,2076	2,6264	2,9457	6,5567	6,2333	0,7706	2,8844	3,0401	1,2461	2,9355
25.06.22	1,5827	4,1609	3,0954	3,6122	2,2157	2,6350	2,9675	6,5744	6,2577	0,7717	2,8959	3,0673	1,2509	2,9360
26.06.22	1,5827	4,1609	3,0954	3,6122	2,2157	2,6350	2,9675	6,5744	6,2577	0,7717	2,8959	3,0673	1,2509	2,9360
27.06.22	1,5827	4,1609	3,0954	3,6122	2,2157	2,6350	2,9675	6,5744	6,2577	0,7717	2,8959	3,0673	1,2509	2,9360
28.06.22	1,5885	4,1750	3,1066	3,6049	2,2270	2,6450	2,9847	6,6060	6,2838	0,7708	2,9122	3,0636	1,2564	2,9349
29.06.22	1,5872	4,1720	3,1040	3,5954	2,2251	2,6434	2,9976	6,6057	6,2768	0,7751	2,9145	3,0712	1,2547	2,9336
30.06.22	1,5758	4,1430	3,0821	3,5662	2,2030	2,6247	2,9882	6,5790	6,2342	0,7796	2,8824	3,0805	1,2458	2,9289

თარიღი	კანადური დოლარი	ამერიკული დოლარი	ევროპული მონეტა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აგს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპურული დოლარი	შვეიცარიული ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალმელანდური დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.06.22	2,3867	2,1749	1,6250	0,1843	2,3634	8,2355	0,7202	9,0601	2,2078	9,8918	4,5428	3,8548	3,8962	1,9725
02.06.22	2,3973	2,1809	1,6259	0,1842	2,3423	8,2513	0,7216	9,1176	2,2086	9,9042	4,5319	3,8628	3,9091	1,9724
03.06.22	2,3785	2,1655	1,6141	0,1826	2,3176	8,1884	0,7161	9,0110	2,1877	9,8288	4,5085	3,8329	3,8751	1,9585
04.06.22	2,3622	2,1517	1,5949	0,1800	2,2820	8,0879	0,7073	8,9154	2,1619	9,7050	4,4603	3,7872	3,8267	1,9414
05.06.22	2,3622	2,1517	1,5949	0,1800	2,2820	8,0879	0,7073	8,9154	2,1619	9,7050	4,4603	3,7872	3,8267	1,9414
06.06.22	2,3622	2,1517	1,5949	0,1800	2,2820	8,0879	0,7073	8,9154	2,1619	9,7050	4,4603	3,7872	3,8267	1,9414
07.06.22	2,3573	2,1371	1,5883	0,1786	2,2676	8,0653	0,7053	8,8905	2,1564	9,6779	4,4606	3,7759	3,8161	1,9315
08.06.22	2,3533	2,1291	1,5849	0,1768	2,2307	8,0599	0,7049	8,8773	2,1525	9,6650	4,4401	3,7728	3,8095	1,9118
09.06.22	2,3622	2,1307	1,5865	0,1729	2,2108	8,0681	0,7056	8,8589	2,1539	9,6717	4,4291	3,7762	3,8122	1,9117
10.06.22	2,3647	2,1327	1,5893	0,1724	2,2286	8,0825	0,7068	8,9011	2,1594	9,6953	4,4494	3,7824	3,8176	1,9166
11.06.22	2,3248	2,1106	1,5833	0,1736	2,2142	8,0648	0,7053	8,7800	2,1445	9,6583	4,4254	3,7738	3,8055	1,9017
12.06.22	2,3248	2,1106	1,5833	0,1736	2,2142	8,0648	0,7053	8,7800	2,1445	9,6583	4,4254	3,7738	3,8055	1,9017
13.06.22	2,3248	2,1106	1,5833	0,1736	2,2142	8,0648	0,7053	8,7800	2,1445	9,6583	4,4254	3,7738	3,8055	1,9017
14.06.22	2,3105	2,0701	1,5858	0,1721	2,2075	8,0825	0,7068	8,6229	2,1353	9,6763	4,4083	3,7818	3,8042	1,8712
15.06.22	2,2915	2,0437	1,5804	0,1716	2,2063	8,0672	0,7055	8,5964	2,1293	9,6455	4,3996	3,7746	3,7989	1,8499
16.06.22	2,2773	2,0429	1,5707	0,1703	2,1905	8,0142	0,7009	8,5218	2,1171	9,5883	4,3855	3,7498	3,7705	1,8409
17.06.22	2,2688	2,0427	1,5649	0,1696	2,2029	7,9929	0,6990	8,4801	2,1116	9,5535	4,3711	3,7399	3,7602	1,8369
18.06.22	2,2535	2,0453	1,5598	0,1689	2,1708	7,9605	0,6962	8,4472	2,1102	9,5272	4,3617	3,7248	3,7450	1,8526
19.06.22	2,2535	2,0453	1,5598	0,1689	2,1708	7,9605	0,6962	8,4472	2,1102	9,5272	4,3617	3,7248	3,7450	1,8526
20.06.22	2,2535	2,0453	1,5598	0,1689	2,1708	7,9605	0,6962	8,4472	2,1102	9,5272	4,3617	3,7248	3,7450	1,8526
21.06.22	2,2583	2,0526	1,5630	0,1693	2,1754	7,9880	0,6986	8,4852	2,1155	9,5601	4,3863	3,7376	3,7625	1,8663
22.06.22	2,2625	2,0380	1,5608	0,1687	2,1616	7,9709	0,6971	8,4795	2,1146	9,5396	4,3709	3,7296	3,7496	1,8567
23.06.22	2,2588	2,0238	1,5634	0,1690	2,1541	7,9842	0,6982	8,4762	2,1108	9,5524	4,3676	3,7358	3,7415	1,8329
24.06.22	2,2647	2,0217	1,5663	0,1690	2,1679	7,9921	0,6989	8,4890	2,1111	9,5650	4,3768	3,7400	3,7483	1,8364
25.06.22	2,2644	2,0294	1,5639	0,1690	2,1737	7,9935	0,6990	8,5349	2,1147	9,5791	4,3850	3,7403	3,7476	1,8503
26.06.22	2,2644	2,0294	1,5639	0,1690	2,1737	7,9935	0,6990	8,5349	2,1147	9,5791	4,3850	3,7403	3,7476	1,8503
27.06.22	2,2644	2,0294	1,5639	0,1690	2,1737	7,9935	0,6990	8,5349	2,1147	9,5791	4,3850	3,7403	3,7476	1,8503
28.06.22	2,2769	2,0356	1,5645	0,1756	2,1706	7,9905	0,6988	8,6371	2,1195	9,5755	4,3877	3,7405	3,7461	1,8537
29.06.22	2,2849	2,0377	1,5620	0,1762	2,1550	7,9869	0,6985	8,5351	2,1163	9,5619	4,3854	3,7385	3,7235	1,8432
30.06.22	2,2763	2,0151	1,5588	0,1758	2,1468	7,9741	0,6974	8,4962	2,1088	9,5435	4,3750	3,7322	3,7090	1,8244

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	ბელარუსული რუბლი	თურქმენული მანათი	გულდენური ლარი	სომხური დრამი	თაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდ	ბრაზილიური რეალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.06.22	4,8818	1,7852	1,1007	8,6426	1,5887	6,7624	2,5716	0,2745	1,0267	0,7112	3,6540	1,9373	0,6364
02.06.22	4,8440	1,7874	1,1028	8,6591	1,5926	6,8316	2,5826	0,2758	1,0347	0,7021	3,6878	1,9507	0,6401
03.06.22	4,8199	1,7738	1,0944	8,5931	1,5812	6,8384	2,5630	0,2739	1,0230	0,6911	3,6880	1,9385	0,6245
04.06.22	4,7773	1,7520	1,0810	8,4877	1,5604	6,8009	2,5315	0,2702	1,0152	0,6839	3,6444	1,9188	0,6193
05.06.22	4,7773	1,7520	1,0810	8,4877	1,5604	6,8009	2,5315	0,2702	1,0152	0,6839	3,6444	1,9188	0,6193
06.06.22	4,7773	1,7520	1,0810	8,4877	1,5604	6,8009	2,5315	0,2702	1,0152	0,6839	3,6444	1,9188	0,6193
07.06.22	4,8061	1,7471	1,0779	8,4640	1,5572	6,8167	2,5434	0,2691	1,0012	0,6863	3,6359	1,9311	0,6204
08.06.22	4,8058	1,7460	1,0772	8,4583	1,5565	6,8528	2,5471	0,2684	1,0021	0,6866	3,6485	1,9278	0,6175
09.06.22	4,8919	1,7491	1,0783	8,4669	1,5568	6,9269	2,5194	0,2685	1,0038	0,6824	3,6985	1,9282	0,6083
10.06.22	5,2316	1,7523	1,0802	8,4820	1,5584	7,0172	2,5239	0,2691	1,0047	0,6809	3,6536	1,9444	0,6059
11.06.22	5,0877	1,7470	1,0779	8,4634	1,5545	7,0749	2,5183	0,2687	1,0030	0,6802	3,6472	1,8993	0,6037
12.06.22	5,0877	1,7470	1,0779	8,4634	1,5545	7,0749	2,5183	0,2687	1,0030	0,6802	3,6472	1,8993	0,6037
13.06.22	5,0877	1,7470	1,0779	8,4634	1,5545	7,0749	2,5183	0,2687	1,0030	0,6802	3,6472	1,8993	0,6037
14.06.22	5,1940	1,7523	1,0802	8,4820	1,5547	7,1363	2,5239	0,2697	1,0047	0,6789	3,6538	1,8495	0,5953
15.06.22	5,1637	1,7472	1,0782	8,4660	1,5495	6,9833	2,5935	0,2697	1,0028	0,6777	3,6923	1,8439	0,5791
16.06.22	5,2302	1,7361	1,0711	8,4103	1,5355	6,8515	2,6341	0,2682	0,9962	0,6704	3,6629	1,8334	0,5753
17.06.22	5,1487	1,7311	1,0683	8,3880	1,5271	6,8714	2,6271	0,2679	0,9922	0,6605	3,6534	1,8342	0,5806
18.06.22	5,1075	1,7241	1,0639	8,3540	1,5189	6,9123	2,6165	0,2665	0,9898	0,6531	3,6386	1,8382	0,5782
19.06.22	5,1075	1,7241	1,0639	8,3540	1,5189	6,9123	2,6165	0,2665	0,9898	0,6531	3,6386	1,8382	0,5782
20.06.22	5,1075	1,7241	1,0639	8,3540	1,5189	6,9123	2,6165	0,2665	0,9898	0,6531	3,6386	1,8382	0,5782
21.06.22	5,2679	1,7301	1,0676	8,3829	1,5270	7,0233	2,6255	0,2680	0,9935	0,6562	3,6334	1,8364	0,5694
22.06.22	5,3519	1,7283	1,0653	8,3649	1,5242	7,0717	2,5252	0,2680	0,9908	0,6518	3,6312	1,8407	0,5640
23.06.22	5,5558	1,7292	1,0671	8,3789	1,5270	7,1591	2,5668	0,2691	0,9905	0,6441	3,6445	1,8318	0,5719
24.06.22	5,4385	1,7307	1,0682	8,3871	1,5269	7,1838	2,5694	0,2707	0,9936	0,6282	3,6474	1,8343	0,5651
25.06.22	5,4654	1,7312	1,0683	8,3886	1,5277	7,2049	2,5698	0,2711	0,9983	0,6288	3,6464	1,8412	0,5603
26.06.22	5,4654	1,7312	1,0683	8,3886	1,5277	7,2049	2,5698	0,2711	0,9983	0,6288	3,6464	1,8412	0,5603
27.06.22	5,4654	1,7312	1,0683	8,3886	1,5277	7,2049	2,5698	0,2711	0,9983	0,6288	3,6464	1,8412	0,5603
28.06.22	5,4250	1,7325	1,0679	8,3854	1,5286	7,1934	2,5314	0,2709	0,9936	0,6341	3,6402	1,8482	0,5598
29.06.22	5,4929	1,7302	1,0675	8,3817	1,5331	7,1980	2,5677	0,2711	0,9932	0,6383	3,6329	1,8391	0,5600
30.06.22	5,6511	1,7280	1,0658	8,3683	1,5307	7,1940	2,6095	0,2706	0,9913	0,6281	3,6380	1,8156	0,5558

ფინანსური მართვა  
აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება  
საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადამწყვეტილებების კომპრომენტირება.